სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ხუთშაბათი, 26 მარტი | 1998 №44 (579) | ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლეი ოფსაც ფული უნდა

გუშინ ვერის ბაღში: თსუ — სდასუ.
ზვიად ბაბიაშვილი სდასუს კალათს უტევს

გუშინ ვერის ბაღში საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის პლეი ოფის მეოთხედფინალური მატჩები ოთხმა გუნდმა დაიწყო. პირველი ნაბიჯი ნახევარფინალისკენ რუსთავის „აზოტმა“ და თსუ-მ გადადგეს, რომელთაც შესაბამისად „მაკაბი“ და სდასუ დაამარცხეს. დღევანდელი „დინამო“ — „შევარდენის“ მატჩი კი სათუოა: ორივე გუნდმა თამაშამდე დავალიანების გადახდა უნდა მოახერხოს. „ვითას“ და ასკ-ს კი ვალი გადახდილი აქვთ და მათ შეხვედრას წინ არაფერი უდგას.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

ფუტბალის დროშით

ამხანაგური მატჩები

REUTERS შეუტანარტიდან

ბრაზილიელმა ალდაირმა ოლივერ ბირჰოფს აჯობა

გერმანია 1:2 ბრაზილია

0:1 სეზარ სამპაიო (27), 1:1 კირსტენი (65), 1:2 რონალდო (88)

გრანდთა ჭიდილი

ოქროს თასზე განცდილი ფიასკოს შემდეგ მარიო ზაგალოს გუნდი მოშიებული გახლდათ. გერმანიისთვის კი ყველა მატჩი მნიშვნელოვანია, მითუმეტეს ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონებთან.

...მატჩი იმთავითვე მასპინძელთა შეტევებით დაიწყო, თუმცა სტუმართა უკანახაზელები შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ტაიმის შუაში გერმანელები ჩამორჩნენ — კუთხურისას მცველები შეცდნენ და სეზარ სამპაიომაც თავურით ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმში ბუნდესნაკრებში 101-ედ მოთამაშე კლინსმანის ნაცვლად შესულმა კირსტენმა კი გააყაიმა, მაგრამ სულ ბოლოს, აქამდე ჩრდილში მყოფმა რონალდომ მასპინძლები კონტრშეტევაზე გამოიჭირა...

შეხვედრა საკმაოდ უხეში გამოდგა — მსაჯმა შესვენებამდე კოლერი, მეორე ტაიმში კი დუნგა გააძევა.

შვეიცარია 1:1 ინგლისი

1:0 ვეგა (37), 1:1 მერსონი (69)

რუსეთი 1:0 საფრანგეთი

1:0 იურანი (3)

ავსტრია 2:3 უნგრეთი

0:1 ხორვატი (4), 1:1 ვასტიჩი (10), 2:1 ამერჰაუზერი (21), 2:2, 2:3 ილეში (32, 54)

შოტლანდია 0:1 დანია

0:1 ბ. ლაუდრუპი (38)

ბელგია 2:2 ნორვეგია

1:0 ვან დერ ელსტი (7), 1:1 რისეტი (11), 2:1 ვილმოტსი (66), 2:2 სოლსკიაერი (71)

მაკედონია 1:0 ბულგარეთი

1:0 ხრისტოვი (40)

უელსი 0:0 იამაიკა

ესპანეთი 4:0 შვედეთი

1:0, 2:0 მორიენტესი (1, 5), 3:0 რაული (30), 4:0 ეჩეგერია (70)

გუშინვე მხოფლიო ჩემპიონატს შიღმა დარჩენილმა გუნდებმაც ითამაშეს

ჩეხეთი 2:1 ირლანდია

0:1 ბრინი (10), 1:1 შმიცერი (50), 2:1 ლასოტა (76)

მალტა 0:2 ფინეთი

0:1 რიიპილაპტი (1), 0:2 ვისი (51)

პოლონეთი 2:0 სლოვენია

1:0 კოვალჩიკი (36), 2:0 ივანი (55)

ჩრდ. ირლანდია 1:0 სლოვაკეთი

1:0 ლომასი (51)



გუშინ „შევარდენზე“: „ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედო“.

ვაჩიბერაძე ჯანელიძეს რომ გასცდა, ცარიელ კარში ვერ გაიტანა, მაგრამ ქუთაისელებმა თბილისში მეორე ლაშქრობაც გამარჯვებით დაასრულეს

გადმოდი კუთხეში გვერდი

18 ტური

24 მარტი

დინამო 6:0 მარგვეთი

ვიტ ჯორჯია 0:2 ტორპედო

23 მარტი

სამგურალი 0:0 მერანი

22 მარტი

ლოკომოტივი 0:1 ბათუმი

გურია 1:1 ოდიში

მაღაროელი 1:2 კოლხეთი

მეტალურგი 1:0 დილა

ხიონი 1:0 თსუ

დინამო	18	15	2	1	49:7	42
ბათუმი	18	11	5	2	34:11	38
ოდიში	18	11	2	5	27:25	35
კოლხეთი	18	10	3	5	38:18	33
ტორპედო	18	9	6	3	31:16	33
თსუ	18	8	4	6	22:14	28
მერანი	18	8	5	5	24:19	24
ლოკომოტივი	18	6	5	7	19:25	23
ვიტ ჯორჯია	18	5	7	6	18:17	22
დილა	18	6	2	10	16:26	20
სამგურალი	18	5	4	9	19:33	19
ხიონი	18	6	5	7	27:22	18
რუსთავი	18	6	0	12	16:31	18
გურია	18	3	6	9	20:36	15
მაღაროელი	18	3	2	13	14:41	11
მარგვეთი	18	1	4	13	13:46	7

„დინამოს“, „მერანს“ და „ხიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა

მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე გვერდზე

ანანგაზრდებიც ნავლენ

ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა ვიგლა იმნაძემ „სარბიელთან“ ადრე საუბრისას თქვა — ამხანაგური თამაშები გუნდისთვის აუცილებელია, მაგრამ ჯერჯერობით სპარინგ-პარტნიორთა შერჩევაზე თავს შევიკავებთ, ნაკრების კანდიდატებს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშს ვაცლით, ხოლო ამხანაგურ მატჩებს მაშინ დავნიშნავთ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი რომ მოახლოვდებაო. ჯიმი ადრე არჩეულ პრინციპს არ ღალატობს.

12 აგვისტოს ეროვნული ნაკრები განჯაში აზერბაიჯანელებს ეწვევა. მეზობლებთან თამაში კარგა ხანია გადაწყვეტილ-დამტკიცებული გახლავთ. ახლა გაირკვა, რომ განჯაში ეროვნულთან ერთად ახალგაზრდული გუნდიც წავა და თანატოლებს გაეჯიბრება. იმნაძეს საშუალება ექნება, კანდიდატები უკვე საქმეში გამოსცადოს.

ჩვენი ახალგაზრდები აზერბაიჯანელ თანატოლებთან 11 აგვისტოს ითამაშებენ. მეორე დღეს დიდების თამაშს დაესწრებიან და ქართული დელეგაცია მაშინვე თბილისს გამოეშურება.

ჯერ იჩხუბეს, მერე მიიმალნენ

EURO 2000

ჩვენი ჯგუფი

ალბანეთის უდიდესი სპორტული გაზეთი „სპორტი შკიპტარი“ ორშაბათის ნომერში წერს: „ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრის შემდეგ ბერატის „ტომორის“ გუნდი სრული შემადგენლობით (იგულისხმება მწვრთნელები და ფეხბურთელები) ბრუნდებოდა კორჩეონიდან შინ, ბერატში. დაახლოებით საღამოს 8.10 სთ-ზე ბერატელთა ავტობუსს სოფელ ტოშკეზკერშიჩთან ნიღაბაფარებული, შეიარაღებული ბოროტმოქმედები დახვდნენ, რომელთაც ჯერ ავტობუსის მძღოლი მიბეგვეს, მერე კი აღშფოთებულები მოთამაშეებსაც დაერივნენ და სამი-ოთხი ფეხბურთელი დაასისხლიანეს. გული რომ ოჯერეს, თავდამსხმელები გაურკვეველი მიმართულებით მიმალნენ“...

ვერაფერს იტყვი. მომხდარმა მხოლოდ აღშფოთება უნდა გამოიწვიოს, რაც სრულად გასაგებია. განა შეიძლება, პატიოსან სპორტსმენებს შუა გზაში ბოროტმოქმედნი ესხმოდნენ თავს და მათი პროფესიონალური კარიერის გაგრძელებას საეჭვოს ხდიდნენ?

მცხეთა
„არმაზი"
24 მარტი

დინამო 6:0 მარგვეთი

დინამო: გ. ჭანტურია, ლობჟანიძე, ჯელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი (წიტაიშვილი 57), ლ. ბურდული, კიკნაძე, ალექსიძე (ა. სახვაძე 53), აშვეთია, მუჯირი (არსოშვილი 57), ხომერიკი
მარგვეთი: მერკვილიშვილი, კაკაბაძე, ფვანია, გოგაძე, ქურციკიძე (თხვლიძე 57), კაციაშვილი, სულაკაძე, მალალურაძე, მუმლაძე (ბოგვერაძე 74), მალრაძე, შავგულიძე (მზეიძე 60)
1:0 ბურდული (30), 2:0, 3:0 ხომერიკი (40, 50), 4:0 მუჯირი (54), 5:0 ხომერიკი (61), 6:0 აშვეთია (83)
გაფრთხილება: მუმლაძე
მსაჯი: ს. შალამბერიძე (თბილისი)

მცხეთაში თოვლი მოსულა

ეროვნულ ლიდერებს ფოტო

კობა წიტაიშვილი ყველაზე მაღლა კი ახტა, მაგრამ ვერ გაიტანა

კობა ინასარიძე მცხეთიდან

ისეთი ჩემპიონატისა და ფეხბურთის რა ვთქვით, როცა წინასწარაა ცნობილი, ერთი გუნდი მეორეს საშინლად რომ მოუგებს.

ისეთი გუნდისა რა ვთქვით, ამჟამინდელ თბილისის „დინამოსთან" ექვსბურთიანი სხვაობით რომ დამარცხდება.

ისეთი მატჩისა რა ვთქვით, სტუმარი გუნდი მასპინძელთა კარში პირველად 90-ე წუთზე რომ დაარტყამს, ისიც ჯარიმიდან და მეტოქის მცველის დახმარებით.

ისეთი ეროვნული პირველობისა რა ვთქვით, ერთპიროვნული ლიდერის თამაშს დიდი-დიდი 50 (!) მაყურებელი რომ დაესწრება, როცა თბილისის გუნდი დედაქალაქიდან ოცდაოდ კილომეტრში ბურთაობს...

ისეთი 90 წუთისა რა ვთქვით, რომლის განმავლობაშიც ჟურნალისტი ბლოკნოტში რამდენიმე ციფრსა და ოდენ მონაწილეთა შემადგენლობებს ჩაინიშნავს. არა იმიტომ, რომ მელანი გამოელია, უბრალოდ, საინტერესო და ყურადსაღები არაფერი მომხდარა.

ისეთი ორთაბრძოლისა რა ვთქვით, ტაბლოს მუშაკს ანგარიში რომ აერევა და ექვსის ნაცვლად შვიდი ჰგონია.

სამწუხაროდ, ეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატია, მატჩი ლიდერსა და აუტსაიდერს შორის.

გუშინწინ მცხეთაში მეორე ტაიმის შუაგულში გათოვდა.

18 ტური

ბრძოლას ხუთეულნი აგრძელებენ

ევროთასების საგზურთა მაძიებლებმა მეორე წრე მონდომებით დაიწყეს. მხოლოდ „ოდიშმა" და თსუ-მ დაკარგეს სხვებზე მეტი. პირველ წრეში ნაგროვები ქულებით ზუგდიდელები მაინც რჩებიან ლიდერთა შორის და ჯერ სამეულსაც არ ჩამოსცილებიან.

უკვე ისე ჩანს, საპრიზო ადგილებისთვის ხუთეულის გუნდები თუ იბრძოლებენ.

სტუდენტები წინ წასულ „კოლხეთთან" და „ტორპედოსთან" 5-5 ქულას აგებენ და რაკი პირველთან შინ დამარცხდნენ, მეორესთან კი ქუთაისში სტუმრობენ, ამ დეფიციტის დაფარვა საეჭვოა.

თსუ, ალბათ, მეექვსე ადგილზე გაეხირება, რადგან თავად 4 ქულას უგებს ოდნავ უარესკალენდრიან „მერანს". სამაგიეროდ, არმახელებს თასების თასის საგზურის მოპოვების შანსი აქვთ. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს ნახევარფინალის წილისყრამდე. „ოდიშმა" თუ ასე გააგრძელა, ცხადია, ბრინჯაოს მედლებისთვის „კოლხეთი" და „ტორპედო" დაეჭიდებიან. და თუ ზუგდიდელები გონს მოვლენ, მათ მესამეობის საუკეთესო შანსი ექნებათ, ორივე მდევარს ხომ მასპინძლობენ.

ჯერ გადაჭრით არც ჩემპიონის დასახელება შეიძლება. ბოლნისში წაგებით „ბათუმმა" „დინამოს" მინუს ხუთს ფასი კი ჩაუკარგა, მაგრამ ბრძოლა ჯერაც გრძელდება. ჩემპიონობის უკეთესი შანსი მაინც „დინამოს" აქვს, რადგან „ბათუმი" თბილისელებსაც სტუმრობს, „ტორპედოსაც" და „კოლხეთსაც", ჩემპიონი კი ოდენ ფოთსა და ზუგდიდშია ჩასასვლელი.

მოვლენა

ლოკომოტივი 0:1 ბათუმი

ასეთი რამ, ალბათ, იშვიათად მომხდარა. ისიც საეჭვოა, მომხდარა კი საერთოდ. ის, რაც „ბათუმმა" „ლოკომოტივთან" გააკეთა, მნიშვნელოვანი მოვლენაა. ასეთ შემთხვევას დავიწყების მტვერი ძნელად თუ წაეყრება.

ზღვისპირელებმა ათი კაცით მოახერხეს მეტოქის ძლევა. თანაც სტუმრად და მაშინ, როცა ანგარიში არც გახსნილიყო. ბათუმელთა მოგებას ვერც პენალტით გატანილი ერთადერთი გოლი დაჩრდილავს, პენალტის უფლებასაც თამაში უნდა, ბრძოლაში მოპოვება.

მოვლენაა ისიც, რომ ბათუმელებმა ესოდენ იშვიათი სულის, ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს. ორმაგად სასიამოვნოა, რომ ეს ჩემპიონობის მაძიებელმა გუნდმა შეძლო.

რუსთავი 1:0 დილა

სკანდალი

გახსოვთ, ორი წლის წინანდელი „მეტალურგი" — „დილას" მატჩი? მაშინ გორში 2:2 იყო და მსაჯმა სამი პენალტი დანიშნა. „დილას" მეკარე სოღოლაშვილმა ორი რომ აიღო, კარში აღარ დგებოდა, ძალით ჩააყენეს და გააშვებინეს. მას შემდეგ რუსთაველთა და გორელთა შორის ტკბილი ურთიერთობა აღარაა. ამის დასტური საკვირაო მატჩიც იყო.

81-ე წუთზე არბიტრმა ალექსანდრე შილაკაძემ პენალტი რომ დანიშნა, ამას დიდი არეულობა მოჰყვა. ორ წუთში გორელთა ბრალდებულმა კაპიტანმა ვაჟა თარხნიშვილმა თამაში მიატოვა და „დილამ" მატჩი ათი კაცით ჩაამთავრა.

მოულოდნელობა

სამგურალი 0:0 მერანი

პირველ წრეში შესაბამისი ტურის ყველაზე დიდი მოულოდნელობა სწორედ ამ წყვილის მატჩში მოხდა. წყალტუბოელებმა თბილისში რომ „მერანს" მოუგეს, ეს ჯანელიძის გუნდის ყველაზე გაუთვალისწინებელი დანაკარგი იყო. „მერანი" ხუთი ქულის მოსალოდნელ დაკლებას უფრო იფიქრებდა, ვიდრე იმერლებთან საშინაო მარცხს.

ორშაბათს თბილისელებმა ლამის შური იძიეს. საბოლოოდ კი სტუმარმასპინძელი თითო ქულას დასჯერდა. სახიფათო ზონაში მყოფ „სამგურალისგან" „მერანთან" ფრე მოულოდნელი იყო, იმის მიუხედავადაც, რომ არცერთ გუნდს მეორე წრეში ჯერ არ წაუგია.

ბათუმი და ზაზა ზირაქიშვილი

გმირი და ანტიგმირი

თბილისში „ლოკომოტივთან" ათი კაცით მოგებით ტურის გმირი ზაზა ზირაქიშვილის კლუბი „ბათუმი" გახდა, თავად ფეხბურთელი კი ანტიგმირია, რადგან გუნდი გასვლით მატჩზე დააღალატა. უზირაქიშვილო „ბათუმმა" მაინც მოიგო, მაგრამ ეს თავდამსხმელის საქციელს, მსაჯის გინებას, არ ამართლებს.

ბომბარდირები

ლევან ხომერიკი	დინამო	13
დავით მუჯირი	დინამო	12
ჯუმბერ კალანდაძე	ოდიში	10
პაატა მაჭუტაძე	ბათუმი	10
გიორგი მეგრელაძე	ტორპედო	10
ელდარ გვასალია	კოლხეთი	8
შალვა ისიანი	ოდიში	8
ჰამლეტ წივწივაძე	კოლხეთი	8
გრიგოლ გვაზავა	თსუ	7
სულიკო დავითაშვილი	მერანი	7
ნუგზარ მიქაბერიძე	კოლხეთი	7
მამუკა რუსია	თსუ	7
ლევან ქებაძე	ტორპედო	7

თბილისი
„შევარდენი"
24 მარტი

მორკინალი 0:2 ტორპედო

მორკინალი: დავით ჯანელიძე, ი. ილურიძე, მაისურაძე, ჭოხონელიძე, მ. ბურდული, დვალიშვილი, ვ. ქუთათელაძე, ნადირაძე, ალავიძე, ჭუმბურიძე, გოჩაშვილი
ტორპედო: ასლანაძე, იონანიძე (კ. მეტრეველი 59), ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, შ. ხუჯაძე, დ. ჯანაშია (ვაჩიბერაძე 70), მეგრელაძე, ჩხაიძე (ჩხეტიანი 85)
0:1 მეგრელაძე (65), 0:2 ხუჯაძე (78)
გაფრთხილება: გოჩაშვილი, მეტრეველი
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

ერთი ტორპედო იყო...

მამუკა კვანტალიანი

„ტორპედო" არ ხუმრობს. გუნდი ნაბიჯ-ნაბიჯ ეპარება ლიდერებს და სამეულში დამკვიდრებას ლამობს. ამისთვის ქუთაისელებმა ოდიშელები უნდა გაამეორონ მესამე საფეხურიდან და ფოთელებსაც გადაუსწრონ. რთული მიზანი დაუსახავთ, თანაც როცა ორივე მოწინააღმდეგესთან გასვლითი მატჩები ელით.

ქუთაისელ გულშემატკივრებს იმედის ნაპერწკალს „ტორპედოს" ამჟამინდელი თამაში უღვივებს. ისინი გუნდს წამით არ შორდებიან, ხოლო თამაშისას განუწყვეტლივ სკანდირებენ. უნდა გენახათ, რა ხდებოდა „შევარდენზე", როცა მეგრელაძემ „ტორპედო" დააწინაურა. ცოტაც და რკინის ღობე ვერ გაუძლებდა მიწოლას და ჯანყღარს. ახლა ცოტანი ვართ, მალე ოთხი ავტობუსით დავიწყებთ სიარულს და მერე ნახეთ, როგორ უნდა ქომაგობაო, თქვა ერთ-ერთმა მათგანმა. მოკლედ, ფეხბურთისა და „ტორპედოს" მოყვარულნი სიურპრიზებს გვპირდებიან.

გუშინდელი თამაშის სანახავად საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირებიც მოსულიყვნენ. გუნდებმაც მოინდომეს, ოღონდ მატჩზე, მის სანახაობრივ მხარეზე, ძლიერმა ქარმა იმოქმედა.

„მორკინალმა" იბრძოლა, რაც შეეძლო გაეკეთა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ასლანაძე მხოლოდ ერთხელ გადახტა. ახალგაზრდა მეკარეს გოჩაშვილის დარტყმულის აღება დიდად არ გასჭირვებია. ქუთაისელთა გოლკიპერს მთავარი გამოცდები წინ ელის, თავისი სიძლიერის დამტკიცება უფრო რთულ მატჩებში მოუწევს, მაგრამ ერთი მისი თვისება მაინც გვენიშნა — დათოსთვის სულ ერთია, ვის წინააღმდეგ თამაშობს. უნერვო მეკარის შთაბეჭდილებას ტოვებს. მოწინააღმდეგის შიში გაქრობია და თავისუფლად მოქმედებს. ეტყობა, სისტემატურმა თამაშმა და ვარჯიშმა თავის ძალებში დაარწმუნა.

ტორპედოელთაგან ჩვენი ყურადღება გია მეგრელაძემაც მიიპყრო. ქუთაისელებს მეტად ეშმაკი და მოხერხებული თავდამსხმელი ეზრდებათ. გასაკვირიც კია, ჯერაც ახალგაზრდამ უკვე იცის, რომელ ბურთზე იბრძოლოს და რომელი გაატაროს, თუ გიამ შრომას უმატა, ვინძლო მამას აჯობოს.

კიდევ იყო კვეტენაძე და თამაშობდა ხუჯაძეც. ცენტრში მათ თავიანთი საქმე ხუთიანზე შეასრულეს. კვეტენაძე მოულოლია ორი ტაიმის მანძილზე, შალვას საქმის კეთება წინ და უკან ერთნაირად ეხერხება. პირველმა პირველ გოლში ლომის წილი დაიდო. მარჯვენიდან საჯარიმოში გზაგაკვლეულმა მეგრელაძეს თაური გაატანინა, ხოლო მეორემ მოედნის სიღრმიდან მეგრელაძის მოწოდებული პასი შეეშნოვა. მცველებს ზურგსუკან დარჩენილი ჯანელიძესაც გაუსწორდა, მეკარეს ბურთი თავზე ოსტატურად გადაუგდო და მატჩს წერტილიც დაუსვა.

„ტორპედოს" კიდევ არაერთხელ შეეძლო ეხეირა. ორ-ორჯერ თავის გამოჩენა მეგრელაძეს და ვაჩიბერაძეს შეეძლოთ, მაგრამ საბოლოო დარტყმები გაუცუდდათ. ერთხელ მასპინძელთა მეკარეს სულაც ილურიძემ უშველა, როცა ცარიელ კარში მიმავალი ბურთი კუთხურზე გადააგდო.

ეს ყველაფერი მეორე ტაიმში მოხდა. პირველ ნახევარში კი იყო შედარებით თანაბარი ბრძოლა. ტაიმიც 0:0 დამთავრდა, „მორკინალრიც" უფრო სოლიდურად გამოიყურებოდა, მაგრამ ქუთაისელები რომ მოიგებდნენ, ეჭვი არც მაშინ შეპარვია არავის, რადგან გუშინ მინდორზე „ტორპედო" ბატონობდა.

ბადრი ჯიმლაძის ფოტო

გია მეგრელაძე საზრიანად ირჯებოდა და „ტორპედოს" კიდეც მოაგებინა

ინგლისელები 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლას განაგრძობენ. საამისოდ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფი გრემ კელი, სპორტის მინისტრი ტონი ბენქსი, კამპანიის დირექტორი ალეკ მაკგივენი და ბობი ჩარლტონი, რომელსაც დელეგაციაში შესაყვანად თანამდებობა არ სჭირდება, არგენტინას გაემგზავრნენ. მაკგივენმა ვოიაჟი ასე ახსნა: „თუ ჩვენ სერიოზულად გვინდა იმ ჩემპიონატის მასპინძლობა და ინგლისელ ქომაგთა გულების გახარება, მაშინ იმ ხალხთან გასაუბრება, გადაწყვეტილება რომ უნდა მიიღონ, უშუალოდ გვმართებს. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს კანდიდატურას არაფერი სჯობია და ეს ყველას უნდა გავაგებინოთ“. ინგლისელთა დელეგაცია ოკეანის გადაღმა შეხვდება არგენტინისა და პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციათა თავკაცებს ხულიო გრონდონასა და ნიკოლას ლეოსს, რომლებიც იმავდროულად ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრებიც გახლავან. აღსანიშნავია, რომ ფიფას ახლანდელი პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი ინგლისელთა კანდიდატურას უჭერს მხარს, მისი ოპოზიციონერი, უეფას მეთაური ლენარტ იუჰანსონი კი 2006 წელს გერმანიის მასპინძლობის მომხრეა.

ესპანეთის დედაქალაქის, მადრიდის „ატლეტიკოს“ მეპატრონემ, გაუწონასწორებელი ქცევით სახელგანთქმულმა ხესუს ხილი ხილმა თავისი ქვეყნის ჟურნალისტებს ბოიკოტი გამოუცხადა და კლუბის ფეხბურთელებს უბრძანა, სანამ უეფას თასის ნახევარფინალში რომის „ლაციოსთან“ საქმეს გავარკვევთ, ინტერვიუები არ მისცეთო. „თქვენ „ატლეტიკოს“ ზიანს აყენებთ და ეს სამარცხვინოა“ — უთხრა რეპორტიორებს ხილი ხილმა — „გიყურებთ და გული მერევა“. მიზეზი ის ყოფილა, რომ პრესამ სასტიკად გააკრიტიკა ხილი ხილის პროტექტორი „ატლეტიკოს“ სერბი მწვრთნელი რადომირ ანტიჩი. მოგეხსენებათ, ბოლო ტურში ანტიჩის გუნდმა 4:5 წააგო „სალამანკასთან“. ამ მატჩმა, რომელიც ძალიან ჰგავდა ჩაწყობილს, „ატლეტიკო“ პრიმერა დივიზიონის ცხრილში მეშვიდე ადგილზე დააქვეითა და ახლა, თუ „ლაციოსთან“ ნახევარფინალს წააგებს, შესაძლოა მომავალ სეზონში უეფას თასზე ვეღარც კი ითამაშოს. აღსანიშნავია, რომ ხილი ხილმა ისტერიული ქცევით ამასწინათ სასამართლოს 20 ათასი დოლარით დააჯარიმებინა თავი. იმ ჯერზე მან ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ხერარდო გონსალესი შეურაცყყო.

იუგოსლავიის ცნობილი გუნდი, ევროპის ჩემპიონთა თასის 1991 წლის მფლობელი „ცრვენა ზვეზდა“ მატერიალურ მოსაზრებათა გამო საუკეთესო ფეხბურთელებს ჰყიდის. ბელგრადის გაზეთის „ბლიჩის“ ვერსიით, გაეროს სანქციების დროინდელმა იზოლაციამ და დღევანდელმა ხარჯებმა, თვიურად 80 ათას დოლარს რომ უტოლდება —ცრვენა ზვეზდას“ მთელი თავდასხმის ხაზი რომ გააყიდინოს, გასაკვირი არ იქნება. დეიან სტანკოვიჩს ჯერ 20 წელიც არ შესრულებია, მაგრამ „გლაზგო რეინჯერსში“ გადასვლის პერსპექტივა „ლაციოში“ გადასვლის პერსპექტივით შეეცალა. ჭორად იმასაც ამბობენ, ამ ბიჭზე თვალი „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ უჭირავსო. სტანკოვიჩის კონტრაქტი — „ცრვენა ზვეზდასთან“ წესით 2002 წლამდე უნდა გაგრძელებულიყო, სამაგიეროდ კიდევ ორ ფორვარდს პერიცა ოგნიენოვს და ზორან ნიეგუსს ხელშეკრულებათა ვადა გაიხადე ეწურებათ. ალბათ, ვერც ისინი დარჩებიან „ზვეზდაში“ ქაღალდით გათვალისწინებულ დრომდე. ოგნიენოვიჩს მადრიდის „რეალი“ უთანხმდება, ნიეგუსს კი „იუვენტუსი“ და „კაიზერსლაუტერნი“ უპირებენ გადაბირებას. „ცრვენა ზვეზდა“ ხსენებული სამეულის გაყიდვით ცოტა სულს მოითქვამს, თორემ იუგოსლავიის ჩემპიონატიდან კლუბს გროშები რჩება. მაგალითად, გასული შაბათის შეხვედრამ სულ რაღაც ათასი დოლარი მოუტანა, გასული სეზონის შემოსავალი კი 69100 დოლარი იყო. თურმე 70-ათასიან სტადიონზე, თბილისის „დინამოსი“ არ იყოს, „ზვეზდას“ საშუალოდ თამაშზე 6 ათასი მაყურებელი დაუდის.

იტალიის ჩემპიონატის ლიდერი, ტურინის „იუვენტუსი“ ბერგამოს „ატალანტას“ ზორან მირკოვიჩის თაობაზე ურიგდება. ტურინისავე გაზეთმა „ტუტოსპორტმა“ დაწერა, რომ იუგოსლაველი მცველის „სტადიო დელეალპიზე“ გადასაყვანად „ბებერი ქალბატონი“ 6,5 მილიარდი ლარის ანუ 3,6 მილიონი დოლარის გაღებას აპირებს. მირკოვიჩი ბერგამოში ბელგრადის „პარტიზანიდან“ 1996 წელს გადავიდა და კარგადაც მოიკიდა ფეხი, ახალი სეზონიდან კი იგი, როგორც ჩანს, ყოფილი თანაგუნდელის, იტალიელი თავდამსხმელის, ფილიპო ინძაგის გზას დაადგება. მოგეხსენებათ, ინძაგიც „ატალანტადან“ გადავიდა „ზებრათა“ გუნდში. სხვათა შორის, იმავე „ტუტოსპორტის“ ცნობით, „იუვენტუსი“ 4,4 მილიონ დოლარს ფრანგული „მეცისთვის“ ამზადებს. სანაცვლოდ „მეცი“ ნახევარმცველს, ჟოსელინ ბლანშარს მიჰგვრის ევროპული ფეხბურთის გიგანტს.

შოტლანდიის პირველობის ლიდერის, გლაზგოს „სელტიკის“ მწვრთნელმა ვომ იანსენმა თქვა, სეზონის ბოლოს ვგონებ გუნდიდან წავიდეო. ჰოლანდიელს, რომელმაც კათოლიკეთა გუნდი „რეინჯერსის“ ჩრდილიდან გამოყვანა, კლუბის მენეჯერ ჯოკ ბრაუნთან უსიამოვნება ჰქონია. „გადაწყვეტეთ თავადაც ვერ გეტყვით რაიმეს. ჯერ ვფიქრობ, უნდა გავერკვე, რა მინდა“ — განაცხადა იანსენმა. კლუბში შექმნილი ვითარებით უკმაყოფილო ყოფილა იანსენის ასისტენტიც, „სელტიკის“, დორტმუნდის „ბორუსიას“ და შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე მარდო მაკლეოდიც. წესით, იანსენი „სელტიკში“ კიდევ ორი სეზონის მანძილზე უნდა დარჩეს.

ფრანგი ნახევარმცველი ფრანკ სილვესტრი შესაძლოა „ოსერიდან“ თასების თასის ნახევარფინალისტ „ჩელსიში“ გადავიდეს. ეს თუ მოხდა, სეზონის ბოლოს მოხდება, დაწერა გაზეთმა „ივნინგ სტანდარტმა“. გაზეთის ცნობით, „ოსერის“ მწვრთნელმა გი რუმ დაადასტურა, რომ ლონდონელები დაინტერესებულნი არიან მისი კაპიტნის შეძენით და დასძინა, რომ ამისთვის მათ მილიონი გირვანქის ანუ 1,7 მილიონი დოლარის გამზადება მოუწევთ. თავად სილვესტრს განუცხადებია „ჩელსისთან“ გარიგება თითქმის დასრულებული მაქვს, გასულ კვირაშიც შემეძლო ლონდონს გადავბარგებულიყავი, მაგრამ არ მინდოდა ბავშვები სასწავლო წლის შუაში სკოლისთვის მოშეწყვიტა. ლონდონში სილვესტრი საფრანგეთის ნაკრების სხვა წევრს, ფრანკ ლებეფს შეუერთდება.

გერმანული ფეხბურთის ყოფილმა ვარსკვლავმა უვე ზელერმა განაცხადა, სეზონის დამთავრების შემდეგ „ჰამბურგის“ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადავდგებიო. 61 წლის ზელერი პოპულარულ გაზეთ „ბილდს“ გამოუტყდა, რომ იგი გაანაწყენა დაუსრულებელმა კრიტიკამ. „ძნელად ვარ, ჩემი შეცდომებისთვის პასუხი ვაგო, მაგრამ იყო გულდასაწყვეტი, უსაფუძვლო სიტყვებიც, რომელთაც ჩემი ოჯახი შეაშფოთეს“ — თქვა ზელერმა, ოღონდ შემაშფოთებელ სიტყვათა მაგალითები არ მოუყვანია. მან დასძინა: „ეს თანამდებობა არც მჭირდებოდა. იმიტომ დავთანხმდი, რომ მინდოდა კლუბს, სადაც მითამაშია, დავხმარებოდი. ჩემი უდიდესი შეცდომა კი ქულათა ის რაოდენობაა, გუნდს დღეისთვის მწირად რომ აქვს დაგროვებული“. „ჰამბურგი“ დღეისთვის 18-გუნდიან ბუნდესლიგაში მეთოთხმეტეა და გავარდება თუ არა, ეტყობა, შეელევა პრეზიდენტს, რომელსაც 1950-იანიდან 1970-იან წლებამდე გერმანიის ნაკრებში 72 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

ავსტრალიელები სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადისთვის ამთავითვე ემზადებიან და ამხანაგურ თამაშებს მართავენ. ბუენბრივია, საუბარია 23 წლამდელთა გუნდზე, რომელმაც ბრაზილიელ თანატოლებს 3:2 მოუგო. ბრაზილიელებმა ამ ბიბვედრაში ერთი კარგი გაკვეთილიც მიიღეს. მათმა ნახევარმცველმა ერიბერტუმ ჯერ საათაშო ყვითელი ბარათი მიიღო, მერე კი მეტოქის მცველს კონ ბლეტსისს მუშტი-კრივი აუტეხა და წითელი ბარათიც იხილა. თამაშის შემდეგ ბრაზილიელების მწვრთნელმა ტონინიუ ბაროსუმ თქვა: „მე ერიბერტუს ვეუბრე. იგი ჩხუბს თავის შეცდომად აღიქვამს და ბოდიშს იხდის“. აღსანიშნავია, რომ ეს ამ გუნდების სამ დღეში მეორე შეხვედრა გახლდათ. რაგინდ გასაკვირი იყოს, პირველიც ავსტრალიელების გამარჯვებით დასრულდა - 2:1.

გერმანული „ოლეფსბურგი“ ბუნდესლიგაში დასარჩენად ხავსის გარდა ვოლფგანგ ვოლფსაც ჩაებღაუჭა. ვოლფს ბუნდესლიგის გუნდი არასდროს გაუწვრთნია, ახლა კი, სეზონის ბოლომდე დადებული კონტრაქტის თანახმად, თავის გამოჩენის შანსი ეძლევა. „კაცმა გუნდის გულს უნდა მიაგნოს“ — წაფილოსოფოსა „შტუტგარტ კიკერისა“ და „კაიზერსლაუტერნის“ ყოფილმა ფეხბურთელმა. რაც შეეხება ვოლფის წინამორბედს ვილი რაიმანს, იგი კლუბის შეფთა წინააღმდეგ სასამართლოში ჩივილს აპირებს, რამეთუ მათ განაცხადეს რაიმანი ერთი კვირის წინ თანამდებობიდან დაუკითხავად წავიდაო. ვოლფის ასისტენტად დანიშნეს „ოლეფსბურგის“ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელყოფილი უვე ერკენბრეხერი, რომელიც რაიმანის გადადგომის შემდეგ ერთ ტურში ხელმძღვანელობდა მთავარ გუნდს. „ოლეფსბურგი“ ბუნდესლიგის ცხრილში მე-15 ადგილზეა. მან ბოლო 8 თამაშში ორადორი ფრე გაახერხა.

ინგლისელებმა გადაწყვიტეს თავიანთი ნაკრების ვარჯიშებზე რომელიმე მაღალი კვალიფიკაციის შაჯი მიაგლინონ, რათა მან მოთამაშეები ფიფას ახალ წესთან შეაგუოს. საუბარია იმ წესზე, რომლის თანახმადაც უკნიდან ბურთის ართმევა აღარ შეიძლება. ახალი წესი მსოფლიოს ჩემპიონატზე ამოქმედდება.

გერმანელ მწვრთნელს იუპ ჰაინკესს, რომელიც მადრიდის „რეალს“ უდგას სათავეში, ახალი სამსახური მიუხვენის „ბაიერნმა“, „ლევერკუზენმა“ და „პარი სენ ჟერმენმა“ შესთავაზეს. ესპანური გაზეთის AS-ს ცნობით, ჰაინკესი სეზონის დამთავრების შემდეგ „რეალს“ დასტოვებს და თავის ადგილს „უდინეზეს“ ახლანდელ თავკაცს ალბერტო ძაკერონის დაუთმობს. მეორე გაზეთის, „მარკას“ ცნობით კი „რეალს“ ახალი მწვრთნელი იქნება არა ძაკერონი, არამედ „ესპანიოლის“ ახლანდელი თავკაცი, მადრიდის გუნდის ყოფილი მოთამაშე ხოსე ანტონიო კამაჩო.

თურქულმა „გალათასარაიმ“ ხუთი კვირა უყურა რუმინელ თავდამსხმელს იონ ლუტუს და მშობლიურ „უნივერსიტატიას“ დაუბრუნა. სტამბოლელებმა ლუტუ რომ იყიდეს, იგი კრაიოვას გუნდში ჩინებულად თამაშობდა, რუმინეთის პირველობაზე ბომბარდირებს ლიდერობდა, მაგრამ წავიდა თურქეთში და... „ჩვენ მას ვაბრუნებთ, რადგან ხუთი კვირიდან სამი ტრავმირებული იყო“ — განმარტა „გალათასარაის“ პრესატაშემ, რომელმაც ფინანსურ საკითხებსაც მოჰფინა ნათელი. თურქებს ლუტუში 150 ათასი დოლარი გადახდილი ჰქონიათ და ერთი იმდენიც ახლა უნდა გადაერიცხათ, მაგრამ თავს იკავებენ და რუმინელებს მოლაპარაკებათა მაგიდასთან უსაბუთებენ, რომ გადასახდელი აღარაფერი აქვთ. აღსანიშნავია, რომ ლუტუ სტამბოლის კლუბს ნახევარი წლით ჰყავდა შეძენილი, მაგრამ თუ მოეწონებოდა და დატოვებას გადაწყვეტდა, 1,7 მილიონსაც გავიდოდა.

ინგლისელი პოლ გესქონი შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსიდან“ სამი წლით და ექვსი თვით „მიდლსბროში“ გადავა. ეს ცნობა „მიდლსბროს“ მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა დაადასტურა. 30 წლის გაზას ჩრდილოინგლისურ გუნდში მიღებამდე სამედიცინო შემოწმება ელის. „პოლმა ჩვენი გუნდის შუახაზს ნაპერწკალი უნდა შეამატოს“ — განუცხადა ჟურნალისტებს რობსონმა, რომელიც „მიდლსბროს“ კვლავ პრემიერლიგაში აყვანას ცდილობს, პირველ დივიზიონში მეორე ადგილზეა. მოგეხსენებათ, გესქონს „მიდლსბროს“ გარდა „კრისტალ პალასიც“ ეპატრონებოდა, მაგრამ თავად ფეხბურთელმა ინგლისის ნაკრებში გაცნობილ ყოფილ თანაგუნდელთან, რობსონთან ამჯობინა საქმის დაჭერა. იქვეა ნაკრების ახლანდელი მეკობარი პოლ მერსონიც. მერსონი, მოგეხსენებათ, გამოსწორებული ლოთია და მას და გაზას ერთად ლუდისმოყვარულ დუეტად იცნობენ. გესქონის გადაბირება რობსონის გუნდს, რომელიც ამ სეზონში ლიგის თასისთვისაც იბრძვის, 5 მილიონი დოლარი დაუჯდა.

ნიუკასლის ვნებანი

მერი პოპინსი

მათ ფეხი ფეხზე გადაიდეს და ცინიკური ღიმილით გადახედეს ქალაქს ოფისის ფანჯრიდან. იქ, ქვევით ხალხი მიმოდიოდა.

— ისე, ნიუკასლელი ქალები ნამდვილი ძუკნები არიან — თქვა ერთმა.

— კაცები კი ყეყეჩები... ხომ ხედავთ ანკესს როგორ წამოეგენ. ჩვენს გამოშვებულ სისულელეს, გუნდის მაისურებს და რაღაც-რაღაცეებს ცეცხლის ფასად ყიდულობენ — ჩაიცინა მეორემ.

— და ეს სატყუარა, ალან შირერი... ნაღდი მერი პოპინსია.

ფრედი შეფერდი და დაგლას ჰოლი ცხოვრებით ტკბებოდნენ. საამისოდ საბაბიც ჰქონდათ, ირგვლივ ხომ ამდენი ძუკნა და ყეყეჩია. ასეთ დროს სხვა რა უნდა ქნას ორმა ჭკვიანმა, ლამაზმა და მდიდარმა ახალგაზრდამ, ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბის თავმჯდომარემ და ვიცე-თავმჯდომარემ აქციათა 57 პროცენტის მფლობელმა ცხადია ფეხი ფეხზე უნდა გადაიდოს და საცოდავ ქალაქს ცინიკური მზერით დახედოს.

ეჰ, რამდენი წელი გაგრძელდებოდა ასე, ამქვეყნად ძუკნების და ყეყეჩების გარდა ნაძირლებიც რომ არ არსებობდნენ. საზიზღარი ჟურნალისტები, ინგლისური ტაბლოიდების უნამუსო ჯაშუშები. რა დარჩენოდათ „ესპანურ ღამის კლუბში“, რა უნდოდათ იქ? აღარ აცლიან ორ მდიდარ, ლამაზ და ჭკვიან ბიზნესმენს გამოთრობას და იმის ხმამაღლა თქმას, რაც ოფისიდან ქალაქის ცქერისას მრავალჯერ უთქვამთ ერთმანეთისთვის.

მეორე დღესვე გაიგეს ძუკნებმა და ყეყეჩებმა, რომ საყვარელი კლუბის ბოსები მათ ძუკნებს და ყეყეჩებს ეძახდნენ. გაიგეს და გაავდნენ.

კეთილი სურვილები და საქმეები

„გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ ორივემ ერთად, დიდი ფიქრის შემდეგ მიიღო. სწამთ, რომ მათ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები „ნიუკასლ იუნაიტედის“ მომავალზე გავლენას არ იქონიებს. გასულ კვირას ისეთი არაფერი მომხდარა, გუნდის წარმატებები რომ შეაფერხოს. დაგლას ჰოლი და ფრედი შეფერდი მწვრთნელს კენი დალგლიშსა და „ნიუკასლ იუნაიტედს“ დარჩენილ მატჩებში წარმატებას უსურვებენ, თავად კი ძალ ღონეს არ დაიშურებენ შერყეული რეპუტაციის გამოსასწორებლად“.

ეს იყო ციტატა განცხადებიდან, ჰოლმა და შეფერდმა თანამდებობიდან გადადგომის წინ რომ გააკეთებინეს თავიანთ პრეს-ატაშეს.


სერ ჯონ ჰოლი

— რაც გაზეთებმა დაწერეს „ნიუკასლ იუნაიტედში“ მომუშავე ხალხის შეხედულებებთან კავშირში არ არის. ეს პუბლიკაციები არც ბიზნესის საქმეს სახავენ ზუსტად — ბრძანა კლუბის საფონდო ბირჟაზე საქმიანობის თავმჯდომარემ სერ ტერენს ჰარისონმა. მან ციფრები მოიშველია: რომ „ნიუკასლის“ შემოსავალი ჰოლისა და შეფერდის დუეტის ხელში 10,6 მილიონი დოლარიდან 19,3 მილიონამდე გაიზარდა. გაიზარდა კლუბის ერთი აქციის ღირებულებაც. მას 6 პენსი მოემატა. ახლა 101 პენსია.

ვაშა!

„ნიუკასლ იუნაიტედის“ დირექტორატის სხდომა შეფერდის გარეშე გაიმართა. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ფოტო, რომელზეც ყოფილი თავმჯდომარე ბარბადოსის პლაჟზე ნებივრობისასაა აღბეჭდილი. სად იყო ჰოლი, უცნობია. სხდომამ შეფერდსა და ჰოლს სურვილი დაუკმაყოფილა, ისინი თანამდებობიდან მოხსნა.

— ისინი უნდა წასულიყვნენ... დაუყოვნებლივ — თქვა ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა ტონი ბენქსმა.

— ბედნიერი ვარ, რომ როგორც იქნა წავიდნენ. თავიდანვე უნდა გადამდგარიყვნენ, მაგრამ ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს — თქვა გუნდის დამოუკიდებელ მხარდამჭერთა გაერთიანების პრეს-ატაშემ.

— შტერი უნდა ვიყო, რომ ვერ ვხედავდე თუ რა ზარალი მიადგა კლუბს, მაგრამ ჩემი თანამდებობა ქომაგების სურვილთა გათვალისწინებას მავალებს — თქვა „ნიუკასლ იუნაიტედის“ აღმასრულებელმა შეფმა ფრედი ფლეტჩერმა.

დარდიანი და სამართლიანი

კენი დალგლიშამდე „ნიუკასლს“ კევინ კიგანი წვრთნიდა. იგი 1997 წლის იანვარში წავიდა თანამდებობიდან. უფრო სწორედ წასვლა აიძულეს და ამიტომაც ჰოლი და შეფერდი არ უყვარდა, მაგრამ...

— მათი გაბედულება და ძალისხმევა რომ არა ისეთი „ნიუკასლ იუნაიტედი“, დღეს რომაა, არ იარსებებდა. ამიტომაც დარდმა შემიპყრო. ამ ორმა კაცმა თანამედროვე „ნიუკასლის“ აგებაში ისეთი წვლილი შეიტანა, არავის რომ შეუტანია. სამწუხაროა, რომ მათ ხალხი სულ სხვა მიზეზის გამო დაიხსომებს. ჰოლმა და შეფერდმა გუნდიდან გამაგდეს. წესით სწორედ მე უნდა ვლანძღავდე ყველაზე მეტად, მაგრამ სანამ ცუდს მაკადრებდნენ, კარგიც ბევრი მახსოვს.

სერ ჯონის ემოციური დაბრუნება

სანამ „ნიუკასლ იუნაიტედის“ საქმეებს ფრედი შეფერდი და დაგლას ჰოლი ჩაიბარებდნენ, იმ ოფისში, რომლის ფანჯრიდანაც ქუჩები და ხალხი მოჩანს იჯდა სერ ჯონ ჰოლი, დაგლასის მამა, „ნიუკასლ იუნაიტედის“ აღმაშენებელი.

თქვენ უნდა გვიშველოთ, სერ ჯონ! დაბრუნდით! — შესძახეს მათ, ვისაც სერ ჯონის ვაჟი ძუკნებსა და ყეყეჩებს უწოდებდა.

— იცით რა არის ყველაზე ძნელი? როგორ ავუხსნა, რაც მოხდა, ჩემს შვილიშვილს. მე ხომ ის ხელში მეჭირა და მასზე ვზრუნავდი. ამ სცენარის ავტორებს ვერასოდეს დავუვიწყებ რაც გააკეთეს. ადამიანის ფასი ქვეყნად არაფერია. ჰოლებისა და შეფერდების ოჯახების სახელით გთხოვთ ნება მოგვცეთ ჩვენი ცხოვრებით ვიცხოვროთ. ჩვენ გული გვეტკინა და წამლობას დრო ესჭირდება. გვეყო ტანჯვა. როგორ ჩანს ყველას დაგვავიწყდა ერთი რამ, ფეხბურთი, აი, რა არის მთავარი კლუბისთვის. ახლა კლუბს სიმშვიდე სჭირდება. მე საფონდო ბირჟის საკითხებში არ ჩავერევი. მაგის კაცი არ ვარ. მე სტადიონზე წავალ, ქომაგებთან დავდგები და ვთხოვ მენდონ. ენდონ ფრედის, კევინს (აქ სერ ჯონს შეეშალა, კენი უნდა ეთქვა) და ბიჭებს. მწამს ერთად ყველაფერს შევძლებთ. ვინ იცის, იქნებ ასოციაციის თასი მოვიგოთ, ჩვენი ქალაქის ქუჩებში ჩამოვატაროთ და ყველამ ვიზეიმოთ.

სერ ჯონი დაბრუნდა.

პაპუნა კედია

რეალისტი კაცი

...1996 წელს ფილიპ დე ვილდე ბრიუსელს, მშობლიურ „ანდერლეხტს“ სტოვებს და ატლანტის ოკეანის ნაპირებზე მდებარე ლისაბონურ „სპორტინგში“ მიდის. შესანიშნავ ფორმაში მყოფი მეკარე პორტუგალიურ კლუბს ადვილად ეგუება, კარგადაც თამაშობს და ახალ თანაგუნდელთა მხარდაჭერასაც იოლად ჰპოვებს. ნაკრებშიც ისეა მისი საქმე, უკეთესს ვერ ინატრებ — მიუხედავად საშობლოდან უცხოეთში გადახვეწისა, იგი მაინც ქვეყნის პირველი გუნდის ძირითად მეკარედ რჩება, მაგრამ...

— თუ ფილიპი ფორმაში არ იქნება, იგი ნაკრებს კარგა ხნით დაემშვიდობება. მისი შესაძლებლობების მქონე მეკარე ცოდოა სათადარიგოთა სკამისთვის. ვგონებ, ბელგიიდან რომ არ წასულიყო, მეტს მიაღწევდა, მაგრამ რას იზამ, ვეღარაფერს შეცვლი. ნორვეგიელებთან მატჩისთვის იმიტომ არ დავუძახე, რომ იგი ამჟამად ცუდ ფორმაშია. მინდა ფილიპი გავაფრთხილო — თუ არ ივარჯიშებს და ბედს შეეგუება, სამსოფლიო ჩემპიონატოდ მისთვის ნაკრებში ადგილი არ მოიძებნება — განაცხადა ბელგიის ნაკრების მწვრთნელმა ჟორჟ ლიკენსმა, რომელმაც კრიზისში მყოფ, მაგრამ გამოცდილ დე ვილდეს კარგ ფორმაში მყოფი, მაგრამ გამოუცდელი მეკარეები ამჯობინა.

ეტყობა, მწვრთნელის გაფრთხილებები ლისაბონელთა აწ უკვე ყოფილ მეკარეს ჭკუაში დაუჯდა და სამშობლოში დაბრუნება განიზრახა. სამშაბათს მან ჩანაფიქრი რეალობად აქცია — ფილიპ დე ვილდე ამერიდან კვლავ ბრიუსელის „ანდერლეხტის“ ღირსებას დაიცავს. ბელგიის ყველაზე ტიტულოვან გუნდს დაბრუნებულმა დე ვილდემ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

მართლაც რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია მსოფლიოს ჩემპიონატს.

აჭრელებენ

მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ და მხოლოდ საფეხბურთო შეჯიბრი. ეს ტურნირი მთელი საფრანგეთისთვის დიდი ზეიმია და არა მხოლოდ მათთვის. ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის მასპინძლობას დამსახურება უნდა, ფრანგები კი ამისთვის შესაფერისნი რომ არიან, ამას დიდი ფიცი — მტკიცი არ სჭირდება.

იქ, საფრანგეთში, მოახლოებულ საფეხბურთო ზეიმს ყველა თავისებურად აღნიშნავს. აი, საფრანგეთის უდიდეს ავიაკომპანია „ეარ ფრენსს“ კი მეტად ორიგინალური რამ მოუფიქრებია — კომპანიის თვეკაცთა განცხადებით, მსოფლიოს ჩემპიონატის მოახლოებასთან დაკავშირებით გადაწყდა, რომ „ეარ ფრენსის“ 16 თვითმფრინავი ტურნირში მონაწილე ქვეყნების დროშების ფერებად შეიღებოს. ვერაფერს იტყვი, ამას ხომ მოფიქრება უნდა.

ერთი კვირის წინ ორი თვითმფრინავი უკვე გაიგზავნა ასაჭრელებლად — მათზე ჰოლანდიის, იტალიის, კოლუმბიის და ბრაზილიის ნაკრების მაესტრეანი ფეხბურთელები იქნებიან გამოსახული. დანარჩენი 28 ქვეყნის დამახასიათებელ ფერებად აჭრელებული თვითმფრინავები აპრილის შუა რიცხვებში მზად იქნება.

ჰილის ფიქრები

მსოფლიოს ჩემპიონატი დიდი საინტერესო რამეა. ეს ის დროა, ფეხბურთის გულშემატკივრებს სალაპარაკო რომ უათმაგდებათ და თავიანთი ნაზრევის საჯაროდ გამოტანის სურვილი უღვივდებათ. ცხადია, ამ დროს გაუთავებლად ისმის პროგნოზები, ყველას თავის რჩეული ჰყავს, მათ საუკეთესო მხარეებს წარმოაჩენს, ცდილობს მსოფლიოს ჩემპიონატის წინ შეაფასოს გუნდების შესაძლებლობები და გამოიცნოს, ვის აქვს ჩემპიონობის შანსები.

გუშინ ლონდონში ცნობილმა ბუქმეკერმა უილიამ ჰილმა ჩემპიონობის კანდიდატები და მათი კოეფიციენტები გამოაქვეყნა, რომელიც, ვფიქრობთ არც თქვენთვის უნდა იყოს უინტერესო:

ბრაზილია 3-1, საფრანგეთი 6-1, გერმანია, იტალია 7-1, ჰოლანდია, ინგლისი 8-1, არგენტინა 12-1, ესპანეთი 16-1, ნიგერია 20-1, ხორვატია, იუგოსლავია 25-1, ბელგია, რუმინეთი 40-1, ბულგარეთი, კოლუმბია, დანია, ნორვეგია 50-1, პარაგვაი 80-1, ავსტრია, კამერუნი, ჩილე, შოტლანდია, ს. აფრიკა 100-1, მექსიკა 150-1, მაროკო, საუდეთი, ს. კორეა, აშშ 200-1, იამაიკა, იაპონია, ტუნისი 250-1, ირანი 300-1.

ხუთმეტლის არქივიდან

მაიკლ ოუენს (მარცხნივ) გარი ლინეკერი ბობი ჩარლტონის მეშვიდრედ მიიჩნევს

ფუტბლის დროშით

ოუენი ყველას აჯობებსო



— ყოველ მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალი სახელები გაიელვებს ხოლმე. ეს მე არ აღმომიჩენია, ასეა ყოველთვის. დარწმუნებული ვარ, არც საფრანგეთის პირველობა იქნება გამონაკლისი. ვფიქრობ, ამ ტურნირზე სხვა ქვეყნის ყმაწვილკაცებთან ერთად ჩვენი მაიკლ ოუენიც გაიბრწყინებს და თავის კვალს დატოვებს ყველაზე პრესტიჟულ საფეხბურთო ტურნირზე. მჯერა, თუ ნაკრების თავკაცებმა ოუენი საფრანგეთში ათამაშეს, იგი უდავოდ გამოიჩენს თავს — თქვა ინგლისის ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე შედეგიანმა ბომბარდირმა, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის ოქროს ბუცის მფლობელმა გარი ლინეკერმა.

ლინეკერი კარგა ხანია, ფეხბურთელობას შეეშვა, მისი ბუცები, აგერ უკვე ორი წელია, უქმადაა. პროფესიული კარიერის დასრულების შემდეგ ლინეკერმა, ბევრი იარა თუ ცოტა, ბრიტანეთის უდიდეს რადიოსადგურ BBC-ის სპორტულ მიმომხილველად დაიწყო მუშაობა. ზემოთ თქმული მან სწორედ ერთ-ერთი ამასწინანდელი გადაცემისას განაცხადა. რაც შეეხება ლინეკერის ჟურადღების ობიექტს, „ლივერპულის“ ფორვარდ მაიკლ ოუენს, მისი გამორჩევა ნამდვილად ღირს. 17 წლის ჭაბუკმა ამ სეზონში ფურორი მოახდინა — ასაკის მიუხედავად, უკვე სახელოვანი კლუბის უპირველესი თავდამსხმელია. მეტიც პრემიერლიგის ბომბარდირობისთვის იბრძვის.

...თავის დროზე ლინეკერის ვარსკვლავიც უცებ ამობრწყინდა. ყმაწვილკაცი გარიც, ოუენის დარად, წმინდა მეგოლე იყო. თამაშში გოლი რომ არ შეეგდო, ნამდვილი სენსაცია იქნებოდა. ნაკრებში ლინეკერს გაუმართლა. ლამის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა, მაგრამ სარბიელი ისე დატოვა, ინგლისის საფეხბურთო ისტორიაში უპირველესი გოლეადორის, ბობი ჩარლტონის სანაკრებო რეკორდს (49 გოლი) ერთი ბურთით ჩამორჩა. ახლა ლინეკერს დიდი იმედი ჰქონია, რომ ოუენი ამ მიღწევის გაუმჯობესებას შეძლებს.

— მას გოლის გასაოცარი ალღო აქვს. ნიჭიერი ბიჭია. წლეულს „ლივერპულის“ თამაშების ხილვა მრავალჯერ მიწევდა და მართალი გითხრათ, ოუენმა მომხიბლა. მაიკლი ჯერ პატარაა, გამოცდილებაც აკლია, მაგრამ მის ასაკში ფეხბურთელი, პრემიერლიგის ბომბარდირობისთვის რომ იბრძვის, ეს ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. ვფიქრობ, იგი ნაკრებშიც ისეთივე შედეგიანი იქნება, როგორც ჩემპიონატში. გული მეგრძნობს, სერ ბობი ჩარლტონის ლამის ნახევარი საუკუნის წინანდელ რეკორდს ოუენის თაობა დაამხობს — ეს სიტყვები ლინეკერს ეკუთვნის.

არავინ იცის, შეძლებს თუ არა ოუენი „მანჩესტერ იუნაიტედის“ და ინგლისის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირის ბობი ჩარლტონის მიღწევის დამხობას, მაგრამ საამისოდ დიდი შანსი რომ აქვს, ცხადია. 17 წლისამ ნაკრების მაისურიც მოირგო (ოუენი ინგლისის ნაკრების ისტორიაში უმრწემესი ფეხბურთელია) და თუ გოლი ვერ შეაგდო, ეს მხოლოდ და მხოლოდ გამოუცდელობის ბრალი იყო. ამბობენ, ოუენი ნაკრების ბომბარდირადაც იქცევაო. შეეფერება კი სიმართლეს ეს ხმები?

ნეტავი ააფეთქებენ?

— ჩვენ არ გაგვაჩნია ნივთმტკიცებები იმისა, რომ ბელგიაში დაკავებული მუსლიმი ფუნდამენტალისტები საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს აფეთქებებს ამზადებდნენ, თუმცა ტერორიზმი ჩვენთვის მაინც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება — განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონატის ორგკომიტეტთან არსებული უსაფრთხოების კავშირის წარმომადგენელმა ივ ლეკრუამ.

როგორც კი საფრანგეთში ხმები გავრცელდა, ბელგიის პოლიციამ მუსლიმი ფუნდამენტალისტები დაიკავა, ათასნაირი მითქმა-მოთქმა დაიწყო. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ ქალაქებში ამბობენ, ეგ ბორბოტქმედები უთუოდ რაღაცას აპირებენ, იქნებ ტურნირის ჩაშლასაც ცდილობენო.

რაც არ უნდა დაუჯერებელი ჭორი იყოს, მასში მაინც იქნება სიმართლის მარცვალი. ეტყობა, ცნობილი ქართული ანდაზის — სიფრთხილეს თავი არ სტკივაო — ანალოგი ფრანგულ ლიტერატურაშიც მოიძებნება. ჰოდა, იქაური სამართალდამცველებიც მიჰყვნენ ამ სიბრძნეს, უმალ ხელები დაიკაპიწეს და ტერორისტებთან ბრძოლას გაათმაგებული ძალებით შეუდგნენ.

— დღესდღეობით სიტუაციას ვფლობთ. ყველა ინფორმაცია ჩვენს ხელთაა. ამიტომ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ ქალაქებში უახლოესი ერთი თვის განმავლობაში გამოვრიცხავთ რაიმე ტერორისტულ აქციას. ჩვენი ორგანიზაციის თითოეული წევრი მუხლჩაუხრელად იშრომებს, რათა ტურნირის დროს ყოველგვარი უსიამოვნება, ტრაგედიაზე რომ არაფერი ვთქვათ, თავიდან ავიცილოთ — დასძინა იმავე ლეკრუამ.

საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი გაზეთის „ლე პარიზიენის“ ცნობით, ბელგიელმა სამართალდამცავებმა შვიდ მუსლიმ ფუნდამენტალისტს საკმაოზე ბევრი ცეცხლსასროლი იარაღი, დისტანციური მართვის დეტონატორები და რამდენიმე საშინელი ძალის მქონე ნაღმი ჩამოართვეს. ამის შესახებ ფრანგმა პოლიციელებმა უმალ შეატყვეს ბელგიელი კოლეგებისგან. მეზობელ ქვეყანაში გამგზავრებული ფრანგები დაწვრილებით გაეცნენ ფაქტებს და სასტიკად დაგმეს ტერორისტთა მოქმედება.

...1995 წელს ალჟირელმა ექსტრემისტებმა აღიღეს პასუხისმგებლობა იმ ტერორისტულ აქტზე, რომელმაც რვა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 1996-ში კი კიდევ ერთმა აფეთქებამ ოთხი ადამიანი იმსხვერპლა. აქაც ალჟირელებმა „ივაუკაცეს“.

თითქმის შერცხვენილები

— შეკრება მართალია მარცხიანი, მაგრამ ნაყოფიერი გამოდგა. აქ ნათამაშევმა მატჩებმა კარგად დაგვანახა სუსტი წერტილები. შევისწავლეთ შეცდომები და ვეცდებით, აღმოვფხვრათ წაგების მიზეზები. ვიცით, მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ-ერთ აუტსაიდერად მიგვიჩნევენ, მაგრამ ეს ასე რომ არაა, ამას დავამტკიცებთ. ჩვენ შეგვწევს ამის უნარი — განაცხადა ირანელთა გუნდის პრეს-ატაშემ აჰმედ ალ ქათიბმა, ქვეყნის ნაკრების საფრანგეთში მოწყობილი ტურნეს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

ირანელთა ფრანგული ვოიაჟი, მართლაც მარცხიანი გამოდგა, აი, რამდენად ნაყოფიერი იყო, ეს მხოლოდ თავად უწყიან.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სულ ბოლოს მოხვედრილმა ირანელებმა პირველი ამხანაგური მატჩი საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის გუნდ „გინგამთან“ ითამაშეს და მინიმალური ანგარიშით 0:1 დათმეს. მეორე შეხვედრაში უკვე გამარჯვებაც დააჭაშნიკეს — საფრანგეთის 1995 წლის ჩემპიონმა „ნანტმა“ სტუმართ დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და დამარცხდა 1:2. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ეს ირანის ერთადერთი გამარჯვება გამოდგა საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატამდელ ვიზიტში. ირანელებს სამი ამხანაგური შეხვედრა ჰქონდათ დაგეგმილი. პირველ ორზე ზემოთ ვთქვით, მესამედ და უკანასკნელად ირანელებმა, ასევე უმაღლეს დივიზიონელ „მონპელიესთან“ ითამაშეს, თუმცა მათთვის აჯობებდა, შეხვედრა სულ არ შემდგარიყო — ორშაბათს ირანელები სასტიკად განადგურდნენ 0:3. პირველ ტაიმში სტუმართა კარის ბადე ორჯერ დალაშქრა მონპელიელთა კოტდივუარელმა ლეგიონერმა იბრაჰიმ ბაკაიოკომ, მეორე ნახევარში თამაშის დაწყებიდან ზუსტად საათი რომ გამოხდა, ლორენ რობერმა კიდევ ერთი დაამატა 3:0.

ახლა ირანელები შინ ოთხთა ტურნირის სამასპინძლოდ მოემზადებიან, სადაც მათ გარდა იამაიკა, განა და უნგრეთი ითამაშებენ.

ორგკომიტეტი vs ევროკავშირი

უკვე მომაბეზრებელიც კი გახდა მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასწრები ბილეთების ამბავი — ტურნირის ორგკომიტეტს ჩემპიონატის ბევრი მონაწილე ქვეყანა, ძირითადად ევროპელები, ბილეთების ცუდ განაწილებაში ადანაშაულებენ. ფრანგები კი თავისას გაიძახიან, როგორც დაგეგმილი იყო, ყველაფერი ისე ხდებაო. (ბილეთების 60 პროცენტი ადგილობრივ გულშემატკივრებს 20-20 პროცენტი კი ჩემპიონატის სპონსორებს და სხვა მონაწილეებს) ამაზე უკმაყოფილება პირველად თითქმის ნახევარი წლის წინ გამოითქვა. თავდაპირველად ორგკომიტეტს ბელგიელები აუმხედრდნენ — ფეხბურთში ჩვენისთანა ტრადიციების მქონე ქვეყნისთვის თამაშზე მხოლოდ 2 000 ბილეთის დაჯავშნა რა ბედენააო. მათ ჰოლანდიამაც მიბაძა, მალე ნორვეგიელებმაც წამოყვეს თავი, ინგლისელებიც შეაწუხა უბილეთობამ, უფრო სწორად კი მათმა მცირე რაოდენობამ. ამ რამდენიმე ქვეყნის წამოწყებულმა ხმაურმა ყველას ყურები გამოუჭედა, მაგრამ ჩემპიონატის ორგკომიტეტს რომ ვერაფერი მოუხერხეს, ადგნენ და ევროკავშირს მიმართეს. აი, აქ კი:

— ჩვენთან ინგლისიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან და კიდევ რამდენიმე ქვეყნიდან მოვიდა ცნობები, რომ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგკომიტეტი თავის შეხედულებისამებრ ანაწილებს ტურნირზე დასასწრებ ბილეთებს, წინდაუხედაობას კი ცუდი შედეგები მოსდევს. ჩვენი ინფორმაციის თანახმად, ორნახევარი მილიონი ბილეთიდან გასასაღებელი მხოლოდ 160 ათასი დარჩა. შემორჩენილი ბილეთების გადანაწილების თაობაზე ჩვენ გვქონდა რამდენიმე შეხვედრა, რომელზეც დავადგინეთ, რომ ზემოხსენებული რაოდენობა გადანაწილდეს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე სხვა ქვეყნებში — განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა შტეფან რეიტინგმა.

2,5 მილიონი ბილეთიდან მხოლოდ 160 ათასი დარჩენილა. ორგკომიტეტმა მოისმინა ევროკავშირის გადაწყვეტილება და ამ რაოდენობიდან სხვა ქვეყნებში მხოლოდ 50 ათასი ბილეთის გადანაწილებაზე დაყაბულდა, აქაოდა, ფრანგმა გულშემატკივრებმა რაღა დაშავეს, ძირითადად სწორედ ადგილობრივი მოსახლეობა დაესწრება ტურნირს და არა ჩამოსული სტუმრებიო. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მასპინძლები მხოლოდ 50 ათასი ბილეთის განაწილებაზე დათანხმდნენ. ევროკავშირი მათი დადგენილების წინააღმდეგ წასვლამ ძალიან აღაშფოთა:

— სამწუხაროა, რომ ორგკომიტეტმა ჩვენი გადაწყვეტილება სათანადოდ ვერ გაიგო. მე მგონი, ჩვენმა ორგანიზაციამ გასაგებად განაცხადა, რომ უცხოელები ბილეთების უკმარისობამ შეაწუხა, ეს კი, დამეთანხმებით, არცთუ კარგი ფაქტია. ჩვენი დადგენილებით, ორგკომიტეტს დარჩენილი ბილეთები სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე უნდა გადაენაწილებინა. ევროკავშირს არ აუკრძალია 160 ათასი ბილეთიდან ნაწილი ფრანგ გულშემატკივრებსაც რომ შეხვდეთ. ეს ხომ ადგილობრივი მოსახლეობის ფარული დისკრიმინაცია იქნებოდა. ვფიქრობ, ჩვენი გადაწყვეტილება ჰუმანური იყო — თქვა იმავე შტეფან რეიტინგმა.

და მაინც, ფრანგების საქციელი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მათ ცოცხალი თავით არ სურთ დარჩენილი 160 ათასი ბილეთის სხვა ქვეყნებისთვის დათმობა.

— ჩვენი აზრით, ევროკავშირის დადგენილება მცდარია. ვფიქრობთ, უპრიანი იქნება, თუ ბილეთები აქ, საფრანგეთშივე, გადანაწილდება. ჩვენ სულაც არ ვზღუდავთ იმ უცხოელებს, რომლებიც ამჟამად ჩვენთან იმყოფებიან. დღესდღეობით საფრანგეთში მყოფ ყველა სტუმარს აქვს უფლება, შეიძინოს ბილეთები. და კიდევ ერთი — თუ ევროკავშირი გადაწყვეტილებებით კიდევ დიდხანს ეცდება საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგკომიტეტის შევიწროვებას, ჩვენ არც მეტი, არც ნაკლები ჰაგის საარბიტრაჟო სასამართლოში ვუჩივლებთ — განაცხადა ორგკომიტეტის მენეჯინგის დირექტორმა ჟაკ ლამბერტმა.

... საქმეს ისეთი პირი უჩანს, ბილეთების გადანაწილებაზე დავა, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის დღემდე გაგრძელდება. ისე, ორგკომიტეტი მართლა გულადი ხალხით ყოფილა დაკომპლექტებული.

თანამედროვე ბილეთები

— ვიცი, რომ შოტლანდიისა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ორგკომიტეტს მეტი ბილეთები სთხოვეს, მაგრამ როცა თავს ზემოთ ძალა არაა, დადგენილ წესს უნდა დავმორჩილო. დარწმუნებული ვარ, საფრანგეთს უბილეთო გულშემატკივრებიც გაეშგზავრებიან, მათ გასაგონად კი მინდა ვთქვა, რომ შავ ბაზარზე შეძენილი ბილეთები მატჩზე დასწრების გარანტია არ იქნება — განაცხადა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ჯეკ სტროუმ.

იგი მართალია. თუ მოხდა და უბილეთო ინგლისელმა ფანებმა მისი შეგონება შეისმინეს, ხომ კარგი, თუ არა და ფრანგ სამართალდამცავებთან დაიჭერენ საქმეს. ამის გარანტია კი მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორთა მიერ დაბეჭდილი ულტრათანამედროვე ბილეთები იქნება.

მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასწრებ თითოეულ ბილეთზე მყიდველის გვარი და სახელი ამოიტვიფრება. ამასთანავე ბილეთის მეშვეობით შესაძლებელი გახდება მისი ნამდვილი მფლობელის დადგენა-იდენტიფიკაცია.

რაღა გავაგრძელოთ და, მსოფლიოს ჩემპიონატზე ხულიგანი გულშემატკივრების „უფლებები“ ძალიან შეიკვეცება, რითაც, ვფიქრობთ, ფეხბურთი ბევრს მოიგებს.

ახალი ქართული სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოლოგ-ი (ქართველოლოგისა) იგივეა, რაც ქ ა რ თ ვ ე ლ თ მ ც ო დ ნ ე.

ქართველოლოგია (ქართველოლოგიისა) იგივეა, რაც ქ ა რ თ ვ ე ლ თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა.

ქართველოლოგიურ-ი (ქართველოლოგიურისა) ქართველოლოგიასთან დაკავშირებული. სტუდენტი ... უუფლება ... ქართველოლოგიურ დისციპლინებს («ახალი განათლ.»).

ქართველურ-ი (ქართველურისა) ქართველის დამახასიათებელი. [სეიმონი] მამულის შვილი იყო, ქართველი და ქართველური გრძნობა ჰქონდა..., მაგრამ ესაუოდ სიკვდილი-კი არ ესმოდა (ა. ყაზბ.). „სეიმონმა მიღლობა შემოგითვალათ კარგი ქართველური მასპინძლობისათვის“ (ი. გოგებ.). **ქართველურად** ეძნა როგორც ქართველს შეეფერება. ცხენს მიაბოვებს, თვალს მოატუუებს, გამოიღებს, შუბლს განიგრილებს, ერთს ქართველურად [illegible] შესახებს არაგვი. მაგ შენს ამწვანებულს [illegible] (ნ. ბარათ.). სტუმარი თავდაღუნვით შეხ[illegible] [illegible] [illegible] ქართლოსიანთა მენი მმებთან შეკრულან ფ[illegible] (ა. აბაშ.).

ქართლურ-ი (ქართლურისა) ქართლისათ[illegible] ან ქართლელებისათვის დამახასიათებ[illegible] ქართლიდან მომდინარე, — ქართლისა. ქ[illegible] ლური კილო.

ქართულ-ი (ქართულისა) 1. საქართველოს[illegible] ქართველების კუთვნილი, დამახასიათებ[illegible] ქართული ენა.— ქართული ანბანი.— ფერეი[illegible] ში ... თითქმის ყველა სოფელს წმინდა ქართულ[illegible] ხელი ჰქვია (ი. გოგებ.). ნანა გვზრდიდა, ჩვენ ქა[illegible] ლი ნანა გვზრდიდა, აღგვეგავა მტერი რისხვით[illegible] რავი (ან. კალანდ.). 2. ქართული ენა. აკავი [illegible] თელს არა ერთხელ ... უმოქმედებია ... თავისი [illegible] ლიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართ[illegible] (ილია). ეტყობოდა, სტუმრების უმრავლესობას [illegible] და ქართული (ჭ. ლომთ.). 3. ქართული სიტყვა. [illegible] ნუ მეძახი[illegible] ყინს ამისთანა ქართულ[illegible] [illegible]ი მოგახსენო“ (თ. რ[illegible] [illegible]ლი, არა ქმნას სიტყვ[illegible] [illegible] **ქართულია?** რა სიტ[illegible] [illegible]**ოგი ქართულია** კარ[illegible] [illegible]ამია. || სწორი ქარ[illegible] [illegible]ია. 4. ქართველე[illegible] [illegible]ული უძველესი ხალ[illegible] [illegible]ავნ.»). **ქართულად** [illegible]ავიკითხე, ქართულად [illegible]ამ მშვენიერი ლექსი [illegible]ლად“ (შ. დად.). [illegible] ბ ა დ რ ი ჯ ა ნ ი. [illegible] რომ არის, ისე- [illegible] შობის წინადღე [illegible]). კალოზე ... სა- [illegible] თუ უქარო დღეა, [illegible] || სადაც ქარი [illegible] ი იფარება ტუ- [illegible]დატ. იხ. თ ა ვ- [illegible] ქარიანი, ავის ქცე- [illegible] [illegible]ია ბ. თარგმ.). ◊ **ქარიანი ენა** გადატ. დაუფიქრებლის მთქმელი (ენა). „ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს ენითა ქარიანითა“ (ვაჟა). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავ-ქარიანი.

ქარიანობა (ქარიანობისა) 1. ხშირად ქარის ქროლა, მუდმივი ქარი. 2. იგივეა, რაც თ ა ვ- ქ ა რ ი ა ნ ო ბ ა. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავქარიანობა.

ქარიბერტყია (ქარიბერტყიასი) საუბ. იგივეა, რაც ქ ა რ ა ფ შ უ ტ ა. გუავდა ტარიელ, თუ ავ- თანდილად ქარიბერტყია გუსარი ხმალით? (გ. ლეონ.).

ქარიზ-ი (ქარიზისა) [თურქ. ق‌ارىز „მიწის ქვეშა არხი“] ძვ. იხ. ღ რ უ დ ო.

ქარიფანტია (ქარიფანტიასი) საუბ. იგივეა, რაც ქ ა რ ა ფ შ უ ტ ა.

ქარიყლაპ-

ქართუ —

საქმიან ადამიანთა გაერთიანება XXს-ს 90-ანი წლების საქართველოში. ეფუძნება რა ნდობის, თანამშრომლობისა და საიმედოობის პრინციპებს, ეს ელვა მრავალმხრივ საბუნებრივ საქმიანობას და ქვეყნის ხედვასხვა ქალაქს მოიცავს. (დამატებითი ცნობებისთვის იხ. www.cartu.com).

ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივითარებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი.
ბუნდესლიგა. XXVIII ტური

27 მარტი

ჰამბურგი — ვერდერი	1,8	3,0	4,0
ვოლფსბურგი — მიუნხენ 1860	2,3	2,9	2,8

28 მარტი

შალკე — ჰანზა	1,6	3,1	5,3
ჰერთა — შტუტგარტი	2,6	2,7	2,6
დორტმუნდი — დუისბურგი	1,6	3,1	5,3
ბაიერნი — კარლსრუე	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
კაიზერსლაუტერნი — ლევერკუზენი	1,7	3,0	4,7
შინხენგლადბახი — არმინია	1,6	3,3	4,7

29 მარტი

კოლნი — ბოხუმი	1,7	3,1	4,4

გერმანიის ჩემპიონატი.
მეორე ბუნდესლიგა. XXIV ტური

27 მარტი

ლაიპციგი — აინტრახტი	4,0	3,0	1,8
კარლ ცაისი — გიუტერსლო	2,5	2,9	2,5

29 მარტი

დიუსელდორფი — მაინცი	1,6	3,2	5,0
ვატენშაიდი — ზანკტ პაული	2,9	3,0	2,2
კიკერსი — ფიურტი	2,0	2,9	3,4
კოტბუსი — უნტერჰაზინგი	2,1	2,7	3,4
ფორტუნა — ცვიკაუ	1,35	4,0	6,5
0:1	2,0	3,2	2,3

30 მარტი

ფრაიბურგი — ურდინგენი	1,8	2,9	4,2
ნიურნბერგი — მეპენი	1,25	4,4	8,0
0:1	1,8	3,2	2,9

ინგლისის ჩემპიონატი.
პრემიერლიგა. XXXI ტური

28 მარტი

არსენალი — შეფილდ უენსდეი	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,2	2,6
ბარნსლი — ლივერპული	3,0	2,9	2,2
საუთჰემპტონი — ნიუკასლი	2,2	2,8	3,1
ბოლტონი — ლესტერი	2,3	2,8	2,9
ქოვენთრი — დერბი	2,1	2,8	3,3
ევერტონი — ასტონ ვილა	2,0	2,9	3,4
კრისტალ პალასი — ტოტენჰემი	3,0	3,1	2,1
მანჩესტერი — უიმბლდონი	1,15	6,0	9,0
0:1	1,8	3,2	2,9

29 მარტი

ჩელსი — ბლეკბერნი	1,9	2,9	3,6

30 მარტი

ვესტ ჰემი — ლიდსი	2,4	2,7	2,8

ინგლისის ჩემპიონატი.
პირველი დივიზიონი

28 მარტი

ბირმინგემი — ვესტ ბრომვიჩი	1,5	3,4	5,6
ბრედფორდი — მანჩესტერ სიტი	2,5	2,8	2,6
ჩარლტონი — ნოტინგემი	2,5	2,9	2,5
ჰადერსფილდი — ქუინზ პარკი	2,1	2,9	3,2
იფსვიჩი — რედინგი	1,15	6,0	9,0
0:1	1,6	3,6	3,0
ოქსფორდი — ნორვიჩი	1,9	2,9	3,6
შეფილდ იუნ. — პორტ ვეილი	1,45	4,0	5,0
0:1	2,1	3,2	2,1
სტოკპორტი — ქრიუ	1,6	3,3	4,7
სტოკი — ტრანმერი	2,2	3,0	2,9
სანდერლენდი — ბერი	1,2	5,3	8,0
0:1	1,8	3,2	2,9

29 მარტი

ვულვერჰემპტონი — პორტსმუთი	1,6	3,6	4,0

საფრანგეთის ჩემპიონატი.
XXX ტური

27-29 მარტი

ბასტია — ლე ავრი	1,5	3,5	5,3
ბორდო — ტულუზი	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
მონაკო — გინგამი	1,3	4,2	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
კანი — მარსელი	3,5	3,0	1,9
ლილერი — სტრასბური	1,6	3,3	4,7
მეცი — ლანსი	1,9	2,9	3,6
პარი სენ ჟერმენი — ლიონი	1,7	3,0	4,7
შატორუ — ნანტი	2,1	3,0	3,1
რენი — მონპელიე	1,8	3,0	4,0

იტალიის ჩემპიონატი.
სერია A. XXVII ტური

28 მარტი

ინტერი — ვიჩენცა	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,2	2,9
იუვენტუსი — მილანი	1,5	3,3	6,0
უდინეზე — ლაციო	2,6	2,8	2,5

29 მარტი

ბრეშა — ბარი	1,8	2,9	4,2
ფიორენტინა — ნაპოლი	1,1	6,0	12,0
0:1	1,5	3,3	3,8
ლეჩე — ატალანტა	2,6	2,8	2,5
პიაჩენცა — ემპოლი	1,9	2,9	3,6
რომა — პარმა	2,0	2,8	3,5
სამპდორია — ბოლონია	1,7	3,0	4,7

ესპანეთის ჩემპიონატი.
I დივიზიონი. XXXI ტური

28 მარტი

ატლეტიკო — სოსიედადი	1,8	2,9	4,2
ბეტისი — ვალენსია	1,8	2,9	4,2
ვალიადოლიდი — რეალი	3,4	2,9	2,0

29 მარტი

კომპოსტელა — სალამანკა	1,8	3,0	4,0
სარაგოსა — სპორტინგი	1,1	7,0	10,0
0:1	1,4	3,5	4,2
მერიდა — ტენერიფე	1,9	2,9	3,6
ოვიედო — მალიორკა	2,5	2,9	2,5
სელტა — ბარსელონა	2,6	2,8	2,5
ბილბაო — რასინგი	1,35	4,0	6,5
0:1	2,0	3,2	2,3

30 მარტი

ესპანიოლი — დეპორტივო	1,7	3,0	4,7

ესპანეთის ჩემპიონატი.
II დივიზიონი. XXXIV ტური

28-29 მარტი

ლეიდა — ლასპალმასი	3,5	3,0	1,9
ორენსე — ეიბარი	2,2	2,8	3,1
ხაენი — ალბასეტე	2,0	3,0	3,3
სერესი — ტოლედო	2,0	2,9	3,4
ელჩე — ვილიარეალი	3,5	3,0	1,9
ესტრემადურა — რაიოვალეკანო	1,5	3,3	6,0
ბადახოსი — ერკულესი	2,4	2,8	2,7
ლოგრონიესი — ოსასუნა	1,7	3,2	4,2
სევილია — ლევანტე	1,1	6,5	11,0
0:1	1,4	3,5	4,2
ატლეტიკო „B" — ალავესი	3,4	2,9	2,0
ლეგანესი — ნუმანსია	1,6	3,4	4,4

პორტუგალიის ჩემპიონატი.
XXVII ტური

27-29 მარტი

ვარზიმი — ფარენსე	2,2	2,9	3,0
პორტუ — ბრაგა	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
მარიტიმუ — შავეში	1,2	5,0	9,0
0:1	1,6	3,3	3,4
ამადორა — სპორტინგი	2,6	2,8	2,5
სალგეირუში — გიმარაეში	2,4	2,8	2,7
ლეცა — რიუ ავე	2,4	2,7	2,8
ბენფიკა — ბოავიშტა	1,25	4,7	7,5
0:1	1,9	3,2	2,6
კამპომაიორენსე — აკადემიკა	1,7	3,3	4,0
ბელენენსეში — სეტუბალი	3,5	3,0	1,9

შოტლანდიის ჩემპიონატი.
XXX ტური

28 მარტი

დანფერმლაინი — რეინჯერსი	4,2	3,5	1,6
მოზერველი — დანდი იუნაიტედი	2,0	2,9	3,4
სენტ ჯონსტონი — კილმარნოკი	2,0	2,9	3,4
ჰიბერნიანი — აბერდინი	2,3	2,9	2,8
სელტიკი — ჰარტსი	1,5	3,6	5,0

ავსტრია. XXVII ტური

28-29 მარტი

აუსტრია — რიდი	1,6	3,2	5,0
ტიროლი — გრაცერი	2,6	2,7	2,6
ლინცერი — რაპიდი	2,6	2,7	2,6
ლუსტენაუ — ადმირა	1,5	3,8	4,7
შტურმი — ზალცბურგი	1,45	3,6	5,6
0:1	2,0	3,2	2,3

შვეიცარიის ჩემპიონატი.
V ტური

28-29 მარტი

არაუ — სერვეტი	2,6	2,7	2,6
ლოზანა — გრასჰოპერი	2,6	2,7	2,6
სიონი — ლუცერნი	1,9	2,9	3,6
ციურიხი — სენტ გალენი	1,7	3,0	4,7

თურქეთის ჩემპიონატი.
XXVIII ტური

27 მარტი

ქოჯაელი — ფენერბახჩე	4,7	3,3	1,6

28 მარტი

ისთანბული — გენჩლერბირლიგი	1,25	5,0	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
ალთაი — ტრაბზონი	4,0	3,3	1,7

29 მარტი

ანკარაგიუჯიუ — ბეშიქთაში	3,8	3,1	1,8
გალათასარაი — სამსუნი	1,15	6,0	9,0
0:1	1,5	3,3	3,8

ტურში გატანილი ოლები

გერმანია (28-ე)	25 და ნაკლები — 1,9	27 და მეტი — 1,9
ინგლისი (31-ე)	25 და ნაკლები — 1,9	27 და მეტი — 1,9
იტალია (27-ე)	23 და ნაკლები — 1,9	25 და მეტი — 1,9
ესპანეთი (31-ე)	26 და ნაკლები — 1,9	28 და მეტი — 1,9
საფრანგეთი (30-ე)	22 და ნაკლები — 1,9	24 და მეტი — 1,9

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

ᲫᲘᲣᲓᲝ

ᲘᲡᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ

ამ შაბათ-კვირას რომში გამართული „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი ქართველთათვის ბოლო გამოდგა ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ციკლში. იტალიის დედაქალაქში ორმა ჩვენებურმა ისპარეზა — ჯონდო მუზაშვილმა (73 კგ) და სოსო ლიპარტელიანმა (81 კგ). ესენი მიზეზთა გამო არ იყვნენ საქართველოს ნაკრების სათებერვლო ევროპულ ტურნეზე, რომელმაც სამი ტურნირი მოიცვა.

მუზაშვილი რამდენიმე თვის გადმოსულია სამბოდან ძიუდოში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორი ტურნირის პრიზიორმა უკვე მოასწრო — მოსკოვში მესამე იყო, ირანში — პირველი. რომში ჯონდომ რიხით დაიწყო და სლოვენიელ პეტერ ვუჩინას საწყის წრეში წმინდად მოუგო. შემდეგი მეტოქე კი ძლიერი ჰყავდა — მიუნხენის ტურნირზე გიორგი რევაზიშვილის მძლეველი და პარიზის წლევანდელი ტურნირის პრიზიორი ფრანგი კრისტოფ მასინა. მუზაშვილს სულ ქართული სტილით უჭიდავია და კისრულით გამარჯვების მომტან ვაზარიზეც დაუხეთქებია ფრანგი. ჯონდოს ასევე დაუწყია ალჟირელ ედინე იაყუბისთანაც, მეტოქისთვის შიდოც აუკიდებია, მაგრამ მერე ჩავლება შეუცვლია, წელში გამართულს დაუწყია ჭიდაობა და ალჟირელს ჩახტომილი კისრულით მოუმთავრებია საქმე. სხვათა შორის, იაყუბი ჩემპიონი გახდა, მუზაშვილმა სანუგეშო წრეში გააგრძელა ასპარეზობა, მაგრამ იტალიელ ჯუზეპე მადალონისთან დამარცხდა.

სოსო ლიპარტელიანმაც წლეულს ორ ტურნირში იჭიდავა. იაპონიაში „შორიკის თასზე" ხელი მოეცარა, მონტე-კარლოში კი სერიოზული ტრავმა მიიღო — მხარი ამოიგდო, რამაც ნაკრების ევროპული ტურნე გამოატოვებინა. მოკეთებულმა ლიპარტელიანმა რომში კარგად დაიწყო ჭიდაობა, ჯერ ჰოლანდიელ პატრიკ ვან ლუნი დაამარცხა იპონით, შემდეგ კი ასევე სძლია უნგრელ კრისტიან ტოლეგიეშს. ორივე შეხვედრაში სოსო ქამარში ავლებდა და შედეგიანი გდებებიც ამ ჩავლებით გააკეთა. მეოთხედფინალში შვედ მარსელო ნოვაისს ეჭიდავა. თავდაპირველად უპირატესობა ლიპარტელიანისა იყო — იგი ქამარში ავლებდა და გვერდული დგომიდან მეტოქეს არაფერს აკეთებინებდა. ამის გამო შვედი ჯერ შიდოთი დასაჯეს, მერე — ჩუით. შემდეგ კი ლიპარტელიანს მუზაშვილის შეცდომა გაუმეორებია — შვედს ჩავლება დაანება და გამართული დაუდგა. ბოლო წუთზე ორივენი ჩოქბჯენში ჩავიდნენ, ნოვაისმა ისარგებლა ჩვენებურის წამიერი უყურადღებობით და შებოჭა. სამწუხაროდ, სოსომ ვერც სანუგეშო წრეში იმარჯვა — წააგო კუბელ გაბრიელ არტეგასთან და ასპარეზობას გამოეთიშა.

სხვაფრივ, რომში 36 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. გრანდებიდან არ იყვნენ იაპონია და კორეა, სამაგიეროდ, გერმანიამ, ჰოლანდიამ და საფრანგეთმა პირველი ნომრები მოაკლინეს. საყურადღებოა ჰოლანდიელი ევროპის ჩემპიონების ჰუზინგასა და სონემანსის გამარჯვება. მათ შარშანაც რომის ტურნირიდან დაიწყეს ფორმაში შესვლა და მზადება ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედლებით დააგვირგვინეს. კვლავ ანგარიშგასაწევი ძალაა სპეციალისტთა მიერ ნაადრევად ჩამოწერილი ესტონელი ინდრეკ პერტელსონი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორები ჰოლანდიელი ვან დერ გეესტი და გერმანელი მიოლერი ერთმანეთის მიყოლებით დამარცხა. ფინალი ესტონელს 25 წამში მოუგია მიოლერისთვის, თანაც სუფთა ქართული ფანდით — ქამარში გადავლებით.

რაც შეეხება ქალთა ტურნირს. ამ ევროპულ ტურნირებზე (რომლებიც იანვარში დაიწყო) ევროპელები უკანა პლანზე არიან. მთავარ როლებში კი კუბელი დედაკაცები და მათი 180-კილოგრამიანი მწვრთნელი რეინალდო ვეიტია არიან. ვარჯიშისა და მომზადების რა ამისთანა მეთოდები აქვს ამ კაცს, არავინ უწყის, მაგრამ ტურნირი არ გავა, ფიდელის ქალებმა სამი-ოთხი ოქრო არ წაიღონ. რომშიც ასე მოხდა, კუბელებმა ოთხი ოქრო მოიპოვეს, ხოლო ლენია ვერდესიამ და დრიულის გონსალესმა ევროტურნირებზე ასპროცენტიან შედეგს მიაღწიეს — ოთხიდან ოთხ ტურნირი მოიგეს.

ახლა ევროპის ჩემპიონატამდე ერთადერთი „ა" კატეგორიის ტურნირიღა დარჩა. იგი 4-5 აპრილს გაიმართება ჰოლანდიის ქალაქ ჰერცოგენბოსში, 14-17 მაისს კი ესპანეთის ქალაქი ოვიედო უმასპინძლებს კონტინენტის პირველობას.

მუზაშვილი და ლიპარტელიანი სამშაბათს დაბრუნდნენ რომიდან და უმალ ბაკურიანს მიაშურეს, რადგან ეროვნულმა გუნდმა ორშაბათს დაიწყო ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პირველი ეტაპი. ბაკურიანში მხოლოდ ფიზიკური მომზადებაა დაგეგმილი, ნაკრები იქ ორ კვირას დაჰყოფს, შემდეგ ორიოდ დღეს დაისვენებს და შეკრების მეორე ეტაპს ბელარუსში, სტაიკების ოლიმპიურ ცენტრში გაივლის. ბელარუსში ათი ქვეყნის ძიუდოისტები აპირებენ შეკრების გაკვლას და ჩვენებს მათთან ერთობლივი ვარჯიშების და შერკინებების ჩატარება სასარგებლოდ მიაჩნიათ. ბელარუსში ქართველები ათ დღეს ივარჯიშებენ, ხოლო მზადების მესამე, დასკვნით ეტაპს უკვე თბილისში, ძიუდოს დარბაზში გაივლიან.

ᲫᲐᲮᲐ ᲐᲠᲯᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

კაცები

60 კგ: 1. მანოლო პულოტი (კუბა), 2. ოლივერ შპენგლერი (გერმანია), 3. ანდრეა სკოლარი (იტალია) და იორდანის არენსიბია (კუბა)

66 კგ: 1. ლარბი ბენბოდაუდი (საფრანგეთი), 2. ამარ მერიჯა (ალჟირი), 3. დიეგო სგრეჩია (იტალია) და ნიკოლაი კოვიახი (რუსეთი)

73 კგ: 1. ედინე იაყუბი (ალჟირი), 2. დანიელ ფერნანდესი (საფრანგეთი), 3. გილერმე ბენტეში (პორტუგალია) და ანატოლი ავაზნელი (რუსეთი)

81 კგ: 1. დავიდ ინკელი (საფრანგეთი), 2. ლამბერტო რაფი (იტალია), 3. მარსელო ნოვაისი (შვედეთი) და გაბრიელ არტეგა (კუბა)

90 კგ: 1. მარკ ჰუზინგა (ჰოლანდია), 2. იოსვან დესპაინი (კუბა), 3. სილვესტერ გაველი (პოლონეთი) და უინსტონ გორდონი (ბრიტანეთი)

100 კგ: 1. ბენ სონემანსი (ჰოლანდია), 2. ბასელ ელ ღარაბავი (ეგვიპტე), 3. ჰენრი ჰუბერტი (გერმანია) და ფრანს ბირკფელნერი (ავსტრია)

მძიმე: 1. ინდრეკ პერტელსონი (ესტონეთი), 2. ფრანკ მიოლერი (გერმანია), 3. დენის ვან დერ გეესტი (ჰოლანდია) და პატრის რონიონი (საფრანგეთი)

ქალები

48 კგ: 1. სილვი მელუ (საფრანგეთი), 2. ბერნადეტ დომონკოში (უნგრეთი), 3. ტატიანა შიშკინა (რუსეთი) და ჯორჯინა ძანეტე (იტალია)

52 კგ: 1. ლენია ვერდესია (კუბა), 2. ინგე კლემენტი (ბელგია), 3. ტამარა მეიერი (ჰოლანდია) და ნიკოლ ფლაგოტე (ბელგია)

57 კგ: 1. დრიულის გონსალესი (კუბა), 2. დებორა გრაფენშტაინი (ჰოლანდია), 3. დები ალენი (ბრიტანეთი) და ფრანჩესკა კამპანინი (იტალია)

63 კგ: 1. ნენსი ვან სტოკუმი (ჰოლანდია), 2. იენი გალი (ჰოლანდია), 3. ილქნურ კობასი (თურქეთი) და ანდრეინა კავალერი (პორტუგალია)

70 კგ: 1. სიბელის ვერანესი (კუბა), 2. კარინ ვარლე (საფრანგეთი), 3. ქეით ჰაუი (ბრიტანეთი) და ილენია სკაპინი (იტალია)

78 კგ: 1. უტა კიუნენი (გერმანია), 2. ქლოუ ქოუენი (ბრიტანეთი), 3. სელინ ლებრუნი (საფრანგეთი) და ჰაიდი რაკელსი (ბელგია)

მძიმე: 1. იბის დუენიასი (კუბა), 2. მარა კოვაჩევიჩი (იუგოსლავია), 3. ფრანსუაზ პარტეფელდი (ჰოლანდია) და ბრიჟიტ ოლივიე (ბელგია)

ᲪᲣᲠᲕᲐ

ᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲔᲜ ᲒᲔᲓᲔᲕᲔᲠᲡ

გერმანიაში მორიგი ბომბის აფეთქებას ელიან. თუმცა ქვემოთ არც რაიმე ტერორისტულ აქტზე იქნება საუბარი და არც წინასწარ განზრახულ თავდასხმაზე — უბრალოდ, ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის ცურვის მესვეურნი შეიძლება წარსულის ცოდვებში ამხილონ.

გუშინ მოსამართლეთა გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ სასამართლოს, რომელიც ექვსი ყოფილი აღმოსავლელი გერმანელის საკითხს განიხილავს, აუცილებელი არ არის დაესწრონ გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი მანფრედ კანტერი, რომელიც თავის დროზე გფრ-ის სპორტის ხელმძღვანელი გახლდათ და ამ თანამდებობაზე მისი ერთ-ერთი წინამორბედი ვოლფგანგ შვაბლი. რაც შეეხება ზემოხსენებულ ექვს ეჭვმიტანილს, ესენი მოცურავეთა მწვრთნელები როლფ გლასერი, ფოლკერ ფრიშკე, დიტერ ლინდემანი, დიტერ კრაუზე და ექიმები დიტერ ბინუსი და ბერნდ პანსოლდი არიან. მათ ბრალად ედებათ შეგირდი მოცურავე ქალებისთვის სტიმულატორების მიცემა, რომელთა წყალობითაც ექსგედეერელი ქალები თითქმს ყველა დიდ საერთაშორისო ტურნირზე მუდამ ფავორიტებად ითვლებოდნენ. რაც შეეხებათ კანტერს და შვაბლს, მათი სასამართლოში დაბარება იმიტომ სურდათ, რომ ეჭვობენ, იმავე პერიოდში დოპინგს დასავლეთგერმანელი სპორტსმენებიც ხმაროობდნენ და მათ ეს იცოდნენო.

რაც შეეხება საქმის გამოძიებას, ეს ამ სახის პირველი სასამართლო პროცესია, რომლის საშუალებითაც გდრ-ის მოცურავეთა „ბრწყინვალე მიღწევებს", რომელთაც თითქმის ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდნენ, ალბათ, ერთხელ და სამუდამოდ მოეფინება ნათელი.

პლეი ოფსაც ფული უნდა

ჯაფარიძე ისევ საუკეთესოა

სანაძის შეუსტობა სდასუ-ს ძვირად დაუჯდა

ვერის ბაღო. 25 მარტი.
საქართველოს მე-7 ჩემპიონატი
პლეი-ოფი. პირველი
მეოთხედფინალური მატჩები

აზოტი — მაკაბი 95:84 (54:42)

აზოტი: გაბისონია (6), წიკლაური (2), გოგობერიშვილი (18), ბოისა (17), ჯაფარიძე (32); ბერუაშვილი (16), კეჭავმაძე, კოჭლამაზაშვილი (4), გოგოლაძე, ჩაჩუა
მაკაბი: იაშვილი (17), ანდღულაძე (28), ტალაბაძე (6), ახალკაცი (13), ფერიაშვილი (20); დავარაშვილი
მსაჯები: თოიძე, ბერეკაშვილი

მაკაბელებმა კარგად ითამაშეს ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტის წინააღმდეგ, მაგრამ ერთი ხუთეულით ლიდერის დამარცხება, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია.

რუსთაველებმა თავდაჯერებულებმა დაიწყეს თამაში და ნაკლებ ყურადღების უთმობდნენ დაცვას. „მაკაბი“ ამით ისარგებლა და კარგა ხანს ლიდერობდა კიდეც შეხვედრაში. რუსთაველთაგან მხოლოდ ჯაფარიძე პასუხობდა მაკაბელთა შედეგად შეტევებს და მისი წყალობით ლიდერი დიდად არ ჩამორჩებოდა დაწინაურებულებს. მერვე წუთზე ანდღულაძის გარღვევის შემდეგ „მაკაბმ“ ოთხქულიან უპირატესობას მიაღწია, რომელიც კიდევ სამი წუთი შეინარჩუნა 22:18. რუსთაველებმა სერიოზულად მოჭიდეს საქმეს ხელი და გოგობერიშვილის ორი სწრაფი გარღვევით გაათანაბრეს ანგარიში, ბოისას სამქულიანით კი წინაც გავიდნენ. მეთხუთმეტე წუთისთვის მასპინძლები უკვე 11 ქულით დაწინაურდნენ და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ უკვე საბოლოოდ გატეხდნენ მეტოქეს, მაგრამ ჩინებულად ითამაშა იაშვილმა და სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა. ტაიმის ბოლო რუსთაველების იყო. გოგობერიშვილმა, ბერუაშვილმა და ჯაფარიძემ „აზოტი“ თორმეტქულიანი სხვაობით წაიყვანეს შესვენებაზე.

მეორე ტაიმი კარგად მოთამაშე ანდღულაძის სამქულიანით დაიწყო (იმ დღეს მან ექვსი სამქულიანი ჩააგდო), მაგრამ რუსთაველებს უკვე ხელი ეპყრათ მატჩის სადავეები და მატჩის ბოლომდე 10-ზე ახლოს აღარც მიუშვეს მეტოქე. ისე კი, სხვაობა 17 ქულასაც აღწევდა.

თსუ — სდასუ 76:73 (36:26)

თსუ: ჟღენტი (7), წოწელია (13), ცხვედიანი (12), ბაბიაშვილი (28), ხელაშვილი (7); არსიაშვილი (3), ნიკოლაძე (3), გელაშვილი (2)
სდასუ: ჩერქეზიშვილი (27), ჩხეიძე (3), ნაცვლიშვილი (10), სანაძე (16), ოთიურიძე (12); მგალობლიშვილი (3), მუშკუდიანი (2), აბულაძე
მსაჯები: მაჩალაძე, მოლოდინაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში თსუ ლიდერობდა, მაინც ვიტყვი, რომ სდასუ-მ გამარჯვების რეალური შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან.

ორივე გუნდს ძირითადი ცენტრალური თავდამსხმელები გამოაკლდა: ირაკლი ნიჟარაძე აშშ-ში გაემგზავრა სასწავლებლად, ნოკოლოზ დერიუგინს კი ფეხი აქვს დაშავებული. თსუ-მ ნიჟარაძის მაგივრად არჩილ ხელაშვილი მიიწვია, რომელსაც კარგა ხანია, არ უასპარეზია საქართველოს ჩემპიონატში. სდასუ-სთვის კი უდერიუგინობა მაინც შესამჩნევი გამოდგა.

მატჩი ცხვედიანის სწრაფი გარღვევით დაიწყო, რაზედაც მალევე უპასუხა ჩერქეზიშვილმა. შემდეგ მატჩი ქაოსურად წარიმართა. ორივე მხარე ძალიან ნერვიულობდა და ხშირად სცოდავდა გადაცემებისას. შიგადაშიგ უფრო იღლიანად თსუ უტევდა და ცხვედიანის სამქულიანის შემდეგ სხვაობა 6 ქულამდე გაიზარდა 8:2. სდასუ პირველად მერვე წუთზე დაწინაურა სანაძის სამქულიანმა და ცოტა ხანს გუნდები გვერდიგვერდ მიდიოდნენ. თსუ-დან გამოირჩეოდა ზვიად ბაბიაშვილი, რომელსაც სდასუ-მ ვერაფერი მოუხერხა, მაგრამ შეტევაში ჩერქეზიშვილისა და სანაძის ძალისხმევით სდასუ-მ მეთექვსმეტე წუთამდე შეინარჩუნა წონასწორობა 20:20. თუმცა ბაბიაშვილმა ორჯერ მშვენივრად შეუტია, ჟღენტმა და ხელაშვილმაც წაიშველეს ხელი და ტაიმი თსუ-მ ათი ქულით მოიგო.

მეორე ნახევარი კვლავ თსუ-ს უპირატესობით მიმდინარეობდა. მეხუთე წუთზე ბაბიაშვილის გარღვევით სხვაობამ მეტოქეებს შორის 12 ქულას მიაღწია (42:30), რომელიც თსუ-ელებმა საკმაო ხანს შეინარჩუნეს. სდასუ-მ ბევრჯერ სცადა გარდატეხის შეტანა, მაგრამ 9 ქულაზე ნაკლებად ვერც ერთხელ შეამცირა ანგარიში. ასე მივიდნენ მოწინააღმდეგენი ტაიმის შუაწელამდე და როცა წოწელიამ სამქულიანი ჩააგდო და ანგარიში 67:52 გახდა თსუ-ს სასარგებლოდ, მატჩის ბედი გადაწყვეტილი ჩანდა, რომ არა ერთი გარემოება. უნივერსიტეტელთა ხუთეულიდან სამს — ხელაშვილს, ჟღენტს და ცხვედიანს ოთხ-ოთხი პერსონალური შენიშვნა დაუგროვდათ, მატჩის ბოლომდე კი კიდევ რვა წუთი იყო სათამაშო. ჩერქეზიშვილმა პირველმა აუღო ალღო შექმნილ სიტუაციას და შორეული ტყორცნებით აიკლო თსუ. ჟღენტი ჯარიმის შიშით მას მჭიდროდ ვეღარ მეურვეობდა, ბოლოს კი შეტევაში მეხუთე პერსონალურიც მიიღო. აქ ნიკომ მთლად გაილაღა და მეტოქის კალათის დაბომბვა განაგრძო. მატჩის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე ხელაშვილს და ჟღენტს ცხვედიანიც მიჰყვათ. თსუ-ს კი აქვს 11 ქულიანი მარაგი, მაგრამ მეტოქეთა წამყვანი მოთამაშეები ჩერქეზიშვილი, ჩხეიძე, სანაძე, ოთიურიძე მწყობრში არიან და სდასუ სხვაობის შემცირებას იწყებს. თსუ-ს ბურთის დიდი ხნით გათამაშებაზე გადააქვს აქცენტი, მაგრამ ჩერქეზიშვილს ვეღარ უმკლავდება. ორი წუთით ადრე ნიკოს სამქულიანით 4 ქულამდე დაჰყავს სხვაობა, რომელსაც თსუ კიდევ ნახევარ წუთს ინარჩუნებს. 1 წუთით ადრე კი სანაძის ზუსტი სამქულიანით ანგარიში მინიმუმამდე მცირდება 74:73. თსუ უტევს და რა არის ნერვები: არსიაშვილი ფარქვეშიდან ვერ აგდებს ბურთს კალათში და გამოცდილ სდასუ-ელებს ადვილად შეუძლიათ მატჩის ბედის თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვეტა, ამისათვის მათ საკმაო დრო აქვთ. მაგრამ სანაძე რატომღაც შორიდან ცდილობს კალათის დალაშქვრას, უშედეგოდ და ჩხეიძე იძულებულია ნიკოლაძეზე დაჯარიმდეს. მატჩის დასასრულამდე 3 წამია და ნიკოლაძე, რომელმაც აქამდე ბევრი ჯარიმა ვერ გამოიყენა, ორჯერვე სუსტად ისვრის კალათში. სამი წამი სამი ქულის მოსაპოვებლად სდასუ-ს აღარ ეყო. 1:0 — თსუ დაწინაურდა სერიაში.

დღეს პლეი-ოფში მეორე ოთხეული ებმება: 14 საათზე „დინამო“ — „შევარდენი“, 15.30 წთ-ზე ვითა — ასკ. პირველი მატჩის გამართვა სათუოა, რადგან ორივე გუნდმა დავალიანება უნდა გადაიხადოს.

ბია აგლაძე



ნიკო ჩერქეზიშვილმა (მარცხნივ) ჩინებულად კი ითამაშა, მაგრამ სდასუ წაგებისგან ვერ იხსნა

ფოტო ბია ლალიაშვილისა

სიეტლი ტალახს გაჭაჭანაკებს

23 მარტი

ვანკუვერი 106:95 კლიპერსი

ვანკუვერი: რივზი (35+12 მოხსნა + 5 დაფარება)
კლიპერსი: პიატკოვსკი (20), როჯერსი (18)

ექსსაკრამენტოელმა მაიკლ სმიტმა 12 ქულა შესძინა გუნდს, ამას კარიერის რეკორდი, 18 მოხსნაც დაუმატა (12 პირველ მეოთხედში) და თავისიანებს სეზონში ყველაზე მეტ — 61 მოხსნის გაკეთებაში შეეშველა. მოგებით კი ვანკუვერს ძონძროხა ბრაიან რივზმა მოაგებინა, რითაც მასპინძლებმა შეწყვიტეს შვიდმატჩიანი წაგებების სერია და კლუბის არსებობის მესამე სეზონში ყველაზე მეტ — 16 შეხვედრაში მოიპოვეს გამარჯვება. აქამდე ვანკუვერს პირველ სეზონში 15 მოეგო, მეორეში — 14.

სიეტლი 109:83 საკრამენტო

სიეტლი: პეიტონი (24), ბეიკერი (20)
საკრამენტო: აბდურ-ვაჰაბი (18)

სიეტლმა ლეიკერსთან და ფინიქსთან წაგების შემდეგ ლიგაში პირველი ადგილი ჩიკაგოელ ხარებს გადაულოცა და წყნარი ოკეანის დივიზიონის კიდევ ერთ წარმომადგენელთან მარცხი მთლად ტალახში ამოგანგლავდა მას სახელს. სიეტლელებმა ეს კარგად უწყოდნენ, ამიტომ დაეტაკნენ საკრამენტოს მშიერი მგლებივით და სულ ბდღვერი ადინეს. მით უმეტეს, რომ სტუმრებს ლიდერი და უპირველესი ბომბარდირი მიჩ რიჩმონდი აკლდათ მუხლის მცირე ტრავმის გამო.

ფილადელფია 79:94 დეტროიტი

ფილადელფია: კოულმენი (25+13 მოხსნა)
დეტროიტი: დუმარსი (20), ჰილი (17+11 მოხსნა)

ფავორიტად მასპინძელი იყო მიჩნეული. მით უფრო, რომ ტრავმები მოიშუშეს თავდამსხმელებმა დერეკ კოულმენმა და ჯო სმიტმა (10 ქულა) და საკმაოდ კარგადაც გაისარჯნენ, მაგრამ თავი შეერცხვინა ფილადელფიას ლიდერმა ალენ აივერსონმა. მან თამაშში ორი სროლა ჩააგდო, ამაზე ათით მეტი ააცილა და კარიერაში ყველაზე ცოტას, ოთხ ქულას დასჯერდა.

ჩიკაგო 111:88 ბოსტონი

ჩიკაგო: პიპენი (27+11 მოხსნა), ჯორდანი (24)
ბოსტონი: უოლკერი (26)

ჩიკაგომ ბოსტონის ძლევით ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო. მასპინძელთა შერეკილმა თავდამსხმელმა დენის როდმანმა 14 ბურთი მოხსნა ფარიდან და თან სეზონში ყველაზე მეტი — 12 ქულა გაახერხა.

დალასი 91:87 მინესოტა

დალასი: ფინლი (27)
მინესოტა: პილერი (23), მიჩელი (19+10 მოხსნა)

დალასელმა ჰუბერტ დევისმა (16 ქულა) ბოლო მეოთხედის დასასრულს 10 ქულა მიითვალა, მისმა გუნდმა კი მონაკეთი 20:2 მოიგო, ხოლო ფინლის ზუსტი სამქულიანის შემდეგ სირენამდე 48 წამით ადრე 88:84 გაიდა წინ. 34 წამი იყო დარჩენილი, როცა მიტჩელმა სამქულიანით სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო. 17 წამით ადრე შონ ბრედლის ნაცვლად ხუთეულში მოხვედრილმა რილეიმ ორი საჯარიმო ჩაგდო (სულ ეს იყო მისი მონაგარი) და ფინლიმაც ერთი საჯარიმოთი თამაშს წერტილი დაუსვა. სათადარიგოდ გამწესებული ბრედლი კი კვლავ ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მის ანგარიშზე 16 ქულა, 12 მოხსნა და 4 დაფარებაა.

დენვერი 86:107 ლეიკერსი

დენვერი: ფორსტონი (24)
ლეიკერსი: ჯონსი (27), ონილი (24)

24 მარტი

ატლანტა 85:73 ორლანდო

ატლანტა: სმიტი (28)
ორლანდო: აუთლოო (12), სტრონგი (12)

ანდერსონის გარეშე დარჩენილ ორლანდოსთან ატლანტამ უპრობლემოდ მოიგო. მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა სტივ სმიტმა, რომელმაც თავის გუნდს ერთი მეოთხედი 12:0 მოაგებინა, საიდანაც 10 ქულა თავად მიითვალა.

ტორონტო 89:106 შარლოტი

ტორონტო: კემბი (20)
შარლოტი: რაისი (24)

ცენტრალური დივიზიონის მესამე გუნდ შარლოტს ამავე დივიზიონის აუტსაიდერთან არავითარი პრობლემა არ შექმნია და ბოლო 15 მატჩიდან მეთოთხმეტე მოიგო.

პორტლენდი 87:99 ვაშინგტონი

პორტლენდი: საბონისი (14+15 მოხსნა)
ვაშინგტონი: ჰოვარდი (24), მიურეი (23)

პორტლენდს ორი ძირითადი მოთამაშე აკლდა. ჯფილ ტორონტოელ დეიმონ სტუდემაიერს ფეხის ტრავმა აწუხებს, რაშიდ უოლესს კი, რომელიც კარიერას სწორედ ვაშინგტონში იწყებდა, ახლობელი გარდაეცვალა. პორტლენდმა ეს არ დაიმჩნია და დაწინაურდა, მაგრამ ვაშინგტონელმა ტრეისი მიურეიმ თავისი 23 ქულიდან 15 ბოლო მეოთხედში შესძინა თავის გუნდს, რომელმაც ეს მონაკვეთი 34:19 მოიგო. ამით ვაშინგტონმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა პლეი ოფში მოხვედრის შანსი.

გოლდენ სტ. 75:88 ნიუ იორკი

გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (19)
ნიუ იორკი: ჯონსონი (23)

მილუოკი 118:108 ჰიუსტონი

მილუოკი: ალენი (33), გილიამი (29)
ჰიუსტონი: ოლაჯუონი (22+11 მოხსნა)

მილუოკის უკვე გადაწურული აქვს პლეი ოფში მოხვედრის შანსი. მას სამი მთავარი მოთამაშე — ბრენდონი, ჰილი და რობინსონი აკლია. მათ გარეშე კი გუნდმა ზედიზედ ცხრაჯერ წააგო და მეათესაც მიაყოლებდა, ჰიუსტონს რომ მარკლი და დრექსლერი არ მოესაკლისებინა. პირველმა მარცხენა მკლავი იტკინა, მეორემ კი საზარდულის ტრავმა მიიღო. ამით შეგულიანებული მილუოკელები თავიდანვე ეკვეთნენ მეტოქეს, თავი დადეს და მოუგეს კიდეც. ალენსა და გილიამს კარგად წაეხმარნენ ცენტრი ჯონსონი (10 ქულა, 15 მოხსნა), ჰონიკატი, რომელმაც 19 ქულით კარიერის რეკორდი დაიმყარა და ელიოტ პერი (16 ქულა, 16 პასი. კარიერის რეკორდი)

კლივლენდი 85:86 სან ანტონიო

კლივლენდი: ილგაუსკასი (21+12 მოხსნა)
სან ანტონიო: რობინსონი (27+10 მოხსნა + 8 დაფარება)

კლივლენდს სან ანტონიოსთვის 1993 წლის 23 მარტის აქეთ არ მოეგო და ახლა ისე ჩანდა, ნავსის გატეხვას აპირებდა. მატჩის დამთავრებას წუთზე ოდნავ მეტი აკლდა, როცა კლივლენდელმა შონ კემპმა (7 ქულა) ჩატენა და თავისიანები 83:78 გაიყვანა წინ, მაგრამ შემდეგ მეტოქისგან ექვსი ქულა მიიღეს. 9,5 წამით ადრე ბრეკინ ნაითმა ორი საჯარიმო ჩააგდო და კლივლენდი კვლავ დააწინაურა 85:84, მაგრამ მასპინძლებს მოგება მაინც არ ეწერათ. სან ანტონიოს უკანასკნელმა ვინი დელ ნეგრომ 3,3 წამით ადრე დერეკ ანდერსონის ხელებს ზემოდან გადამწყვეტი ბურთი ჩაავდო.

იუტა 92:73 ფინიქსი

იუტა: მელოუნი (19)
ფინიქსი: სკოტი (15)

იუტას ლიდერმა კარლ მელოუნმა თავიდანვე თავბედი აწყვლინა ფინიქსელებს: მან პირველ მეოთხედში 13 ქულა მითივალა, აქედან 7 მაშინ, როცა იუტა ერთ მონაკვეთში 15:0 გაიქცა და მეტოქე დაიბრიყვა. ამის მერე იუტას მთლიანად თავი არ მოუკლავს. აღსანიშნავია ცენტრი გრეგ ფოსტერი, ვინც 12 ქულა და კარიერაში ყველაზე მეტი — 15 მოხსნა გააკეთა. არადა, მასზე საშუალოდ 3,1 მოხსნა მოდის.

ირაკლი ფირაუშვილი

შაკილზე ალალია!



გასული კვირის (16-22 მარტი) საუკეთესო მოთამაშედ ლიგამ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ სუპერცენტრი შაკილ ონილი დაასახელა. კვირის ოთხი მატჩიდან ლეიკერსმა სამში იმარჯვა. 217-სანტიმეტრიანი ონილის შედეგიანობა კი ამ ოთხ მატჩში 28,8 ქულა და 14,8 მოხსნა გახლავთ. შაკილმა განსაკუთრებით კარგად ითამაშა ოთხშაბათს, ფინიქსთან. მან გუნდს 33 ქულა და 22 მოხსნა გაუხერხა, რითაც ექვსწლიან კარიერაში მერვედ გადააბიჯა 30 ქულასა და 20 მოხსნას ერთად.

ონილის კონკურენტთა სია კი ასე გამოიყურება: მეტ გეიგერი და დევიდ უესლი (ორივე შარლოტი), შონ კემპი (კლივლენდი), გრანტ ჰილი და ბრაიან უილიამსი (ორივე დეტროიტი), ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი), ალონზო მურნინგი (მაიამი), ტიმ დანკანი (სან ანტონიო), დუგ კრისტი (ტორონტო) და კარლ მელოუნი (იუტა).

ჯორდანი წასვლით იმუქრება

— ჩემს წარსულს რომ გადავხედავ ხოლმე, ვხვდები, კალათბურთისთვის ბევრი გამიკეთებია. თავის მხრივ, სწორედ ამ თამაშმა მომცა ყველაფერი ის, რაც დღეს გამაჩნია და რითაც ვსულდგმულობ. მე კალათბურთიდან წავედი, მაგრამ იმ თამაშის განუზომელმა სიყვარულმა მაიძულა, დავბრუნებოდი მას. კალათბურთმა და მე უერთმანეთოდ ვერ გავძელით. კალათბურთი ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილია. დღესდღეობით კლუბში დაძაბული სიტუაციაა, შეიძლება ისე მოხდეს, წასვლა მომიწიოს. ზუსტად არაფერი ვიცი — მაიკლ ჯორდანის საუბარში წყენა იგრძნობოდა. კაცმა, რომელიც მთელი თავისი კარიერის მანძილზე ხიბლავდა გულშემატკივრებს ფანტასტიკური თამაშით, კალათბურთში მეორედ მოსვლისას განაცხადა, ჩემი „ჩიკაგო ბულსში“ დაბრუნება თანაგუნდელების და მწვრთნელ ფილ ჯექსონის დიდმა სიყვარულმა და გულშემატკივართა უამრავმა თხოვნამ განაპირობაო. მაშინ „მფრინავმა მაიკლმა“ ისიც დასძინა, სანამ თამაში შემეძლება, ჩიკაგოელ ხარებს არ ვუღალატებ, ოღონდ მხოლოდ ფილ ჯექსონის ხელმძღვანელობით ვითამაშებო.

ფილ ჯექსონი — კაცი, რომელმაც ჩიკაგო ააღზევა, რომლის თავკაცობით 90-იან წლებში ჩიკაგოელთ ბადალი არ ჰყავდათ მთელ NBA-ში. გუნდმა ჩემპიონის ხუთი ტიტული მოიგო, მათ შორის ბოლო ორი ჩემპიონატიც, ხოლო წარმატებებს შორის ჩავარდნა იმის ბრალი იყო, რომ ჯორდანს და კლუბს დაშორება მოუწიათ. ფილ ჯექსონი თანამედროვე „ჩიკაგო ბულსის“ მამაა. სეზონის ბოლოს მას კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება. ხომ არ დადგა ჯორდანისა და „ჩიკაგო ბულსის“ დაშორების დრო?

— აქ რომ დავბრუნდი, ვთქვი, რომ კლუბში მხოლოდ ჯექსონის ხელმძღვანელობით ვითამაშებდი. მერწმუნეთ, დღეს „ჩიკაგო ბულსი“ კვლავ ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი რომაა, სწორედ ჯექსონის დამსახურებაა. როგორც ჩანს, მწვრთნელისა და კლუბის გზები გაიყრება. სამწუხაროა, მაგრამ, ალბათ, მეც წასვლა მომიწევს. ვიცი, გულშემატკივრები იტყვიან, მაიკლმა გული დაგვწყვიტა, მაგრამ ადრე თუ გვიან გზა სხვას უნდა დავუთმო. კალათბურთი კი ჩემამდე არსებობდა და კვლავ იარსებებს. მე იმითაც კმაყოფილი ვიქნები, რაც კალათბურთისთვის გამიკეთებია — „ჩიკაგო სანტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუ ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა სწორედ ასე დასრულა.

მაინც რატომაა ასე გულგატეხილი ჯორდანი? რამდენიმე ხნის წინ მან განაცხადა, ორ-სამ სეზონს ვითამაშებ და მერე პროფესიულ სპორტს შევეშვებიო. ახლა, როგორც ჩანს, სეზონის ბოლოს დასრულდება ჯორდანის კარიერა, მიზეზი კი „ჩიკაგო ბულსის“ თავკაცთა გაუმართლებელი მოქმედება იქნება. ჩიკაგოელთ, არც მეტი, არც ნაკლები, ფილ ჯექსონთან გაყრა გადაუწყვეტიათ, რასაც, საკარაუდოდ, ჯორდანის წასვლაც მოჰყვება. ერთბაშად ორი გიგანტის გამოკლება კი გუნდს, ცხადია, თავის კვალს დაამჩნევს.

–ჯექსონ-ჯორდანის ამბავი ჯერ არ გადაწყვეტილა. აი, სკოტი პიპენი რომ გამოეთხოვება სეზონის ბოლოს „ჩიკაგო ბულსს“, უკვე გადაწყვეტილი ამბავია.

რეგულარული ჩემპიონატი

რა გინდა, ბიჭო, ჰოლიგიაში?

23 მარტი. ფლორიდა — კაროლინა 3:5, დეტროიტი — ჩიკაგო 5:5. 24 მარტი. ნიუ ჯერსი — ფილადელფია 3:2, ფინიქსი — ტორონტო 4:2, ვანკუვერი — ბუფალო 0:2, ვანკუვერი — აილენდერსი 4:3, სან ხოსე — ლოს ანჯელესი 3:4.

ნიუ ჯერსის ვეტერანი რენდი მაკეი მთელი თავისი კარიერის მანძილზე მშვიდად ასრულებდა „პოლიციელის“ ფუნქციას და თითქოს მისით მწვრთნელებიც კმაყოფილნი იყვნენ (შეგახსენებთ, რომ „ეშმაკებისთვის“ ტრიუმფალური 1995 წელს სწორედ მაკეი-ჰოლიკ-პელუზოს „ფორჩეკინგურმა“ სამეულმა ჩაკეტა დეტროიტელთა ლიდერები), სანამ გუნდის თავკაცმა ჟაკ დემერმა მაკეის ძალისმიერ ფორვარდად გამწესება არ სცადა. რენდიმაც ჩინებულად განახორციელა მწვრთნელის ჩანაფიქრი და თავის მრავალწლიან პარტნიორ ბობი ჰოლიკთან ერთად (ამ ტრიოში მესამე ან ჩეხი ელიაში, ანაც გამოცდილი ანდრეიჩუკია ხოლმე) საკმაო პრობლემებს უქმნის მეტოქეებს.

წლეულს მრისხანე თავდამსხმელმა ლიგის არაერთი მეკარე დაბრიყვა, აღმოსავლეთის კიდევ ერთი გრანდის, ფილადელფიისთვის კი მაკეი ნამდვილ კოშმარად იქცა. სამშაბათს ყოფილმა „ავრესორმა“ სამივე გოლი გაუტანა „მფრინავებს“ (კარიერაში მე-2 ჰეთ-თრიქი), მისმა მესამე, გადამწყვეტმა შაიბამ კი „ეშმაკებს“, ფაქტობრივად, გაუნაღდა დივიზიონში პირველი ადგილი. აღსანიშნავია, რომ მაკეის სამჯერვე ჰოლიკმა მიაწოდა პასი. რაც შეეხებათ ფილადელფიელებს, რომელთაგანაც მხოლოდ ამ სეზონში შეძენილმა დეივლმა (1+0,15) და სილინჯერმა (2 პასი) გამოიღეს ხელი, თავიანთ მთავარ კონკურენტთან ნათამაშევ 5 მატჩში მხოლოდ ქულა მოიპოვეს.

ფლორიდა, როგორც ჩანს, სერიოზულად აპირებს ნჰლ-ის იმ აბსოლუტური ანტირეკორდის განახლებას, ვაშინგტონს რომ ეკუთვნის (ზედიზედ 17 მარცხი, 1974-75 წლების სეზონი). ყოველ შემთხვევაში, კაროლინასთან წაგების შემდეგ „პანტერებს“ აქამდე ოთხი ნაბიჯიღა აშორებთ. სტუმრები, კეიტ პრიმოს (2+2,22) თაოკაცობით, მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდნენ და ბოლო წუთებზეღა მისცეს მასპინძლებს ანგარიშის შემცირების საშუალება (მელანბი), თუმცა ბოლო სიტყვა ისევ პრიმომ თქვა.

ვანკუვერელი გულშემატკივრები გულთბილად შეხვდნენ გუნდის ყოფილ კაპიტან ტრევორ ლინდენს, რომელიც აილენდერსში გადასვლის შემდეგ პირველად ჩავიდა მშობლიურ ქალაქში. ჰოკეისტებმა კი ძველი პარტნიორობა დაივიწყეს და არც ლინდენი გაახარეს, არც მისი გუნდი. ბურემ (43) და მოგილნომ (2+0,16) ჯერ კიდევ მეორე პერიოდში გადაწყვიტეს მატჩის ბედი, სტუმრებმა კი მხოლოდ იქაურ ქომაგთა სათბო წაიყოლეს შინ.

ფინიქსმა ზედიზედ მეორედ მოუგო პლეი-ოფის საგზურის მოდავე ტორონტოს და თავისი შანსები საგრძნობლად გაიუმჯობესა. ექვსივე გოლი მესამე პერიოდში გავიდა: მასპინძლებმა სამი წუთის განმავლობაში ერთბაშად 3 შაიბა შეაგდეს, 1 პასი კი აილენდერსისგან ახლახან ნაყიდი მარკ ჯესსინის ანგარიშზეა, რომელმაც სულზე მიუსწრო ამ თამაშს. მაგრამ არასტაბილურმა „კოიოტებმა“ ლამის ახლაც გაფანტეს უპირატესობა და ტოკეტის (23) მიერ ცარიელ კარში გატანილი გოლის შემდეგღა ამოისუნთქეს შვებით.

ბრწყინვალე დომინიკ ჰაშეკმა მე-11 „შათაუტი“ მიითვალა, რაც ბოლო 23 წლის განმავლობაში მხოლოდ ლეგენდარულმა ბერნი პერენტმა შეძლო (12 „შრალი“ მატჩი 1974-75 წლების სეზონში). „დომინატორმა“ (29 მოგერიება) ახლა კალგარი იმსხვერპლა, რომელმაც წინა 3 მატჩში 12 გოლი გაიტანა. თუმცა ერთხელ ჰაშეკიც უძლური იყო, მაგრამ, ბედად, ძელმა იხსნა. გამარჯვების შაიბა კი ბუფალოელმა ოდეტმა (19) მესამე პერიოდის მე-11 წამზე გაიტანა.

მცველმა ბლეიკმა (1+1,21) და ფორვარდმა პერომ (1+1,25) უმცირესობაში გატანილი გოლებით განაპირობეს ლოს ანჯელესის გამარჯვება კალიფორნიულ დერბიში, ხოლო დეტროიტში ტორის ულამაზესი და უშედეგათო შეხვედრა გამართა. ჩიკაგოელები მატჩის მსვლელობისას 1:4 და 3:5 იგებდნენ, მაგრამ მასპინძელთა კაპიტნის აიზერმანისა (1+2, 20) და ლიგის მთავარი მილიონერის, ფიოდოროვის (1+1,2) ურთიერთგაგებამ დეტროიტელებს ქულა მოუტანა, ოვერტაიმში კი რუსმა საუცხოო შესაძლებლობა ვერ გამოიყენა.

სამეელ ღარიბიანი

დიმიტრი მირონოვი

იყო შენი...

მიუხედავად იმისა, რომ ნჰლ-ში ჰოკეისტთა გაცვლების ბოლო ვადა 25 მარტია და გუნდებიც ყველაზე მეტად სწორედ უკანასკნელ დღეს აქტიურობენ ხოლმე, უკვე სამშაბათს, 24-ში, არაერთი ტრეიდი განხორციელდა, რომელთაგან რამდენიმე საკმაოდ მოულოდნელი გახლდათ.

პირველად დეტროიტელებმა იცვალეს სახეთასის მფლობელებმა მცველები — ანაჰაიმელი დიმიტრი მირონოვი და ტორონტოელი ჯეიმ მაკუნი მიიწვიეს.

ფილადელფიამ შემტევი მცველი იანე ნინიმა ედმონტონელ დან მაკჯილისში გაცვალა, რეინჯერსმა კი ფორვარდების — მაიკ კინისა და ბრაიან სკრუდლანდის ნაცვლად დალასისგან ისევე ფორვარდები — ბობ ერი და ტოდ ჰარვი მიიღო.

ვაშინგტონმა და ტორონტომ კი მცველთა ვაცვლა ამჯობინეს. დედაქალაქში ჯეფ ბრაუნი ვადაბარგდა, ხოლო კანადაში — სილვენ კოუტე. ფლორიდელი შეპარდი (მეკარე კირკ მაკლინის ნაცვლად) კაროლინაში გააგრძელებს კარიერას, ხოლო კიდევ ერთი გამოცდილი თავდასხმელი, სენტლუისელი ჯო მერფი სანხოსელ მცველ ტოდ ჯილიში გაიცვალა.

ედმონტონში ბიზნესი ჰატრიოტულია

როგორც ჩანს, უახლოს მომავალში გაირკვევა, ვაგ დადებენ. საბოლოოდ — ანაა ედმონტონელები. საქმე ის გახლავთ, რომ „მენავთობეთა“ ყოფილ პრეზიდენტსა და მფლობელს პიტერ პოკლინგტონს უჭირდა კლუბის კანადაში შენახვა (ეს ნჰლ-ში მოთამაშე კანადის თითქმის ყველა გუნდის უმტკივნეულესი პრობლემაა) და, მისივე თქმით, ფინანსური პრობლემების გამო ახალგაზრდა, პერსპექტიულ ჰოკეისტთა ედმონტონიდან გაქცევა მხოლოდ დროის საქმეღა იყო.

თებერვალში პოკლინგტონმა „მენავთობეები“ 82 მილიონად მიჰყიდა ტეხასელ ბიზნესმენს ლეს ალექსანდერს, რომელიც გუნდის ჰუსტონში გადაყვანას აპირებდა. თუმცა, შეთანხმების თანახმად, ედმონტონელ საქმოსნებს 30 დღის განმავლობაშიც შეეძლოთ „ოილერსის“ შესანარჩუნებლად გარკვა. საამისოდ მათ 70 მილიონი დოლარი უნდა შეეგროვებინათ. და აი, ამ ვადის ბოლო დღეს ქალაქის 17-მა ბიზნესმენმა განაცხადა, რომ 7 მათგანს უკვე შემოაქვს 5-5 მილიონი, ხოლო დანარჩენ თანხას სესხის სახით კანადის „იმპერიალ ბანკი“ იძლევა.

ამ საქმის თაოსანს, ვინმე კენ ნიკოლსს ეჭვიც არ ეპარება, რომ ნჰლ-ის ხელმძღვანელობა მხარს დაუჭერს კანადის ქალაქს, ხოლო ედმონტონის მერმა ბილ სმიტმა ყოველივე ეს დიდ დღესასწაულად და კლუბის ისტორიაში ახალი ეტაპის დასაწყისად მიიჩნია.

მიუხედავად ნჰლ-ის შეფთა მცდელობისა, აღიკვეთოს ლიგის კანადიდან აშშ-ში გადანაცვლების ტენდენცია, ისინი, ტრადიციულად, მეპატრონეთა რაც შეიძლება მცირერიცხოვან, ცენტრალიზებულ ჯგუფს ანიჭებენ უპირატესობას. ასე რომ, ალექსანდერს შანსები ჯერ კიდევ არ დაუკარგავს. ედმონტონელები კი 27 აპრილსა ანუ ლიგის მეთაურთა საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილებას ელიან.

კარმანოსმა ჯიბე გაამზადა

„კაროლინა ჰერიკეინსის“ მფლობელი, წარმოშობით ბერძენი ბიზნესმენი პიტერ კარმანოსი გუნდში თავისი 60-პროცენტიანი წილის ნახევრის გაყიდვას აპირებს. მას უკვე დაუწყია სანდო ინვესტორების ძებნა და სურს, თავისი ადგილი კლუბში უეჭველად ადგილობრივ საქმოსანს დაუთმოს.

კარმანოსის საბოლოო გადაწყვეტილებას, ალბათ, სეზონის ბოლოს შევიტყობთ, მანამდე კი სპეციალისტები ამ ფაქტის გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობენ. კაროლინას დიდი ხანია, საქმე ცუდად მიდის, მაინცდამაინც ვერც კარმანოსის ხელში გაილაღა (მან გუნდი ჯერ კიდევ 1994 წელს, ჰართფორდში ყოფნისას შეიძინა). გარდა ამისა, წლევანდელმა სეზონმა ერთობ აზარალა კლუბის მეპატრონე — ქალაქ როლიში, რომელიც „ჰერიკეინსის“ ადგილსამყოფელი გახლავთ, მოედანი ჯერ არ აუშენებიათ და გუნდსაც გრინსბოროში უხდება საშინაო თამაშების ჩატარება, ამიტომაც კაროლინელთა მატჩებს ლიგაში ყველაზე ცოტა — საშუალოდ 8 ათასი მაყურებელი ესწრება. კარმანოსს, ალბათ, იმანაც აუცრუა გული, რომ დეტროიტელი სერგეი ფიოდოროვის შესყიდვა ვერ შეძლო.

აილენდერსმა იმშობიარა

როგორც იქნა, 7-თვიანი გაჭიანურების შემდეგ დამთავრდა კიდევ ერთი, მეტად ჩახლართული საქმე. „ნიუ იორკ აილენდერსს“ მეპატრონე გამოუჩნდა, თანაც ერთბაშად ორი — სტივენ გლუსტერნმა და ჰოვარდ მილსტეინმა, რომლებიც „ნიუ იორკ სპორტ ვენჩურის“ ფირმის თანამფლობელები არიან, შვიდთვიანი მოლაპარაკების შემდეგ 195 მილიონ დოლარად შეიძინეს გუნდი და ამიერიდან 45-45 პროცენტი ეკუთვნით. აილენდერსის ყოფილ მფლობელ ჯონ პიკეტს კი, რომელიც 1978 წლიდან თავკაცობს „კუნძულელებს“, ბოლო წლებში გაუნელდა ინტერესი გუნდის მიმართ და მას აქამდეც გაყიდდა, დალასელ ბიზნესმენ ჯონ სპანოს რომ არ გაეცურებინა.

აილენდერსი არ არის ერთადერთი კლუბი, რომელსაც მესვეურთა პრობლემა აწუხებს. მსგავსსავე დღეშია ედმონტონიც — ეს ორი კლუბი ნჰლ-ში მოხვედრისთანავე გააატონდა ლიგაში, მაგრამ ამ აღზევებას დაქვეითება მოჰყვა და ახლა, ახალგაზრდა ჰოკეისტებით დაკომპლექტებულები, კვლავ იწყებენ აღმასვლას. ასე რომ, სულაც არ გახლავთ სულ ერთი, ვის ხელში აღმოჩნდებიან აილენდერსელებიც და ედმონტონელებიც.

თავის გაჭეხვას...



უეინ ფერერა

კი ბისკეინი. აშშ. ლიპტონის ჩემპიონატი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო 4,6 მილიონი $

კაცები

პიტ სამპრასს, მსოფლიოს ჩოგბურთის უკანასკნელი ხუთწლეულის უპირობო ლიდერს შავი დღეები უდგას. „შოკირებული ვარ, მატჩის ბედი ჩემს ხელთ იყო და მოგება მაინც ვერ მოვახერხე. მართალია, უიმედოდ არ ვარ, მაგრამ საკუთარი ძალების რწმენა აშკარად მაკლია, სეზონის ასეთ დასაწყისს არ ველოდი“ — განაცხადა სამპრასმა მესამე წრეში 6:0, 6:7 (6:8), 3:6 განცდილი მარცხის შემდეგ. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი მატჩპოინტზე ორმაგ შეცდომას დაუშვებდა, თავს დაკარგავდა და მშრალზე მოგებული ხელის შემდეგ თამაშს წააგებდა? არაერთ, თვით პიტის იმდღევანდელი მეტოქის — სამხრეთაფრიკელი უეინ ფერერას ჩათვლით: „ის ორმაგი შესანიშნავი, მაგრამ მოულოდნელი სიურპრიზი იყო. პიტს უბრალოდ ცუდი დრო უდგას, პირველად ბოლო ხუთი წლის მანძილზე, მაგრამ ბევრ ჩვენგანს აღმასვლების შემდეგ ასეთი რამ რამდენიმე თვეში ერთხელ მაინც ემართება“. ფერერა, სხვათა შორის, სამპრასის ერთ-ერთ ყველაზე უხერხული მეტოქეა — მან მსოფლიოს პირველ ჩოგანს ზედიზედ მესამედ აუგო ანდერძი.

მესამე წრე: პეტერ კორდა (2, ჩეხეთი) — ფრანსისკო კლავეტი (31, ესპანეთი) 6:4, 4:6, 6:3; გრეგ რუზედკი (5, ინგლისი) — მარკ როსე (27, შვეიცარია) 6:1, 7:6 (10:8); ნიკოლას კიფერი (26, გერმანია) — იონას ბიორკმანი (7, შვედეთი) 7:6 (8:6), 7:6 (7:3); გუსტავო კერტენი (10, ბრაზილია) — ანდრეი მედვედევი (24, უკრაინა) 6:2, 4:6, 7:6 (7:5).

პიტ სამპრასის მორიგმა ფიასკომ მსოფლიოს პირველ ჩოგნად გახდომის შანსი ერთბაშად სამ პრეტენდენტს — პეტერ კორდას, მარსელო რიოსსა და გრეგ რუზედკის მისცა, თუმცა, როგორც ბოლო კვირეების განმავლობაში ხდებოდა, ხარის წინ აფრიალებული წითლის ნაცვლად ამ პერსპექტივამ უარყოფითი ეფექტი უფრო გამოიღო: კორდამ, რომელსაც სამპრასის გასასწრებად „ლიპტონის“ ნახევარფინალში გასვლაც კი ჰყოფნიდა, სასწრაფოდ დათმო შეხვედრა ინგლისელ ტიმ ჰენმანთან 4:6, 4:6, რუზედკიმ კი შვედ ტომას ენკვისტთან წააგო 2:6, 2:6. კვირეოანივით საშიშ ნომერ პირველს ერთი კანდიდატი მაინც შერჩა — კიკინამა რიოსმა მერვედფინალში ეორან ივანიშევიჩი დამარცხა 6:2, 6:3, თუმცა ასეთი პირველის ყოლას, ალბათ, ისევ შეჩვეული ჭირი უნდა ვერჩივნოს კაცს.

მერვედფინალი: ჯერ ტარანგო (აშშ) — ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) 3:6, 6:3, 6:2; ალეჯს კორეჩა (8, ესპანეთი) — ფაბრის სანტორო (23, საფრანგეთი) 6:1, 3:6, 6:3; ანდრე აგასი (29, აშშ) — ალბერტ კოსტა (19, ესპანეთი) 7:6 (7:5), 4:6, 6:1; სტივ კეპბელი (აშშ) — უეინ ფერერა 6:7 (3:7), 6:2, 7:5; გუსტავო კერტენი — ნიკოლას კიფერი 6:4, 5:7, 6:4.

ქალები

ორშაბათს მესამე წრის გადადებულმა შეხვედრამ მონიკა სელეშსა და ანა კურნიკოვას შორის კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ 16 წლის რუსს ავტოგრაფების რიგებისა და დეკლტეებში ჟურნალის ყდებზე წამოჭიმვის გარდა თამაშიც ეხერხება. ანამ მამის ავადმყოფობის გამო ოთხი თვით ჩოგბურთს ჩამოშორებულ მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს 7:5, 6:4 მოუგო და თავისივე თქმით, კარიერის უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა: „იგი ყოველთვის იყო და დარჩება კიდეც ჩემ კერპად, ამიტომ ეს მოგება ჩემთვის ერთობ ფასობს. ძალიან მწყინს, მონიკას თავს ამდენი უბედურება რომ დაატყდა (სელეში 1993-ში შტეფი გრაფის შერეკილმა ფანატმა დანით დაჭრა), ბედის უკუღმართობანი რომ არა, ივი ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი გახდებოდა“.

კურნიკოვამ გამარჯვებათა სერია მეორე დღესაც გააგრძელა და მერვედფინალში საუკეთესოთა ათეულის კიდევ ერთ წარმომადგენელს — კონჩიტა მარტინესს სძლია 6:3, 6:0. მატჩის შემდეგ კი განაცხადა, კი ბისკეინში თავს ისე ვგრძნობდი, როგორც სახლშიო, რაც გასაკვირ სულაც არ უნდა იყოს, რადგან მახლობელ მაიამიში საკუთარი ბინა ჰქონია.

მერვედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — სანდრინ ტესტიუ (13, საფრანგეთი) 6:3, 5:7, 6:2; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ნატალი ტოზია (12, საფრანგეთი) 6:2, 6:1; იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — ანკე ჰუბერი (14, გერმანია) 6:2, 6:2; სერენა უილიამსი (აშშ) — ჰატი შნიდერი (შვეიცარია) 6:0, 4:6, 6:3

მარტინა ჰინგისი დები უილიამსების გავლენიან შეტევას ჯერ კიდევ უმკლავდება, მაგრამ გაისად, ან სულაც რამდენიმე თვეში მდგომარეობა შეიძლება საბოლოოდ შეიცვალოს. სამშაბათს შავტუხათა კლანის უმცროს წარმომადგენელს 16 წლის სერენას მსოფლიოს პირველი ჩოგნის მოსანდერბლად ერთი ქულა დააკლდა — მესამე სეტში, 5:3-ზე ორი მატჩპოინტი ვერ გამოიყენა. მარტინამ ანგარიში 4:5-მდე რომ შეამცირა, ვონის მოსაკრებად და სულის მოსათქმელად ნაცად ხერხს მიმართა — ფეხის ტკივილი მოიმიზეზა და სამედიცინო შესვენება მოითხოვა. შვეიცარიელს ამჯერადაც გაუმართლა და ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ ნახევარფინალის საგზური მოიპოვა 6:3, 1:6, 7:6 (7:4), თუმც კი თაღლითის რეპუტაციის საბოლოოდ დამკვიდრების ხარჯზე. მარტინას ნახევარფინალში ისევ უილიამსი ელის — 17 წლის ვინუსმა მეოთხედფინალში იტალიელი სილვია ფარინა დაჯაბა 6:1, 6:2 და დის განაწყენებისთვის სამაგიეროს გადახდას შეეცდება.

ავთანდილ სვანიძე

მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია
Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები
ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge

სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კენტლანი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დეკანოსიძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29